www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 4 დეკემბერი, 2013 წელი. | №3421 (228) | ფასი 50 თეთრი

უკრაინის რადამ მთავრობა არ გადააყენა

ივა ბილაკაძე

გუშინ უკრაინის პარლამენტში ოპოზიციას არ ეყო ხმები მთავრობის გადასაყენებლად. „ევრომაიდანზე“ ხალხის ტოტალური მობილიზაცია გამოცხადდა. ჯერჯერობით ვერავინ ბედავს იმის პროგნოზირებას, თუ როგორ განვითარდება მოვლენები. მომიტინგეთა ნაწილი პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობისკენ დაიძრა და მას ყველა მხრიდან შემოარტყა ალყა. იანუკოვიჩის სამსხურებრივ რეზიდენციას რამდენიმე ასეული სპეცრაზმელი იცავს, თუმცა თვით პრეზიდენტი ქვეყანაში არ არის, ის ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრა ჩინეთში.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

უამინდობა საქართველოში

საქართველოში ამინდი გაუარესდა. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცნობით, მიმდინარე წლის სამ დეკემბერს, საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა შავი ზღვის ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებიდან ძალიან ცივი და ნოტიო ჰაერის მასების გავრცელებას.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე



ჯონ კერი გაზაფხულზე საქართველოში ვიზიტს გეგმავს

დღეს ბრიუსელში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შტაბ-ბინაში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა გაიმართება. შეხვედრაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე მიიღებს მონაწილეობას.

ალიანსის მინისტერიალის ფარგლებში ბრიუსელში ნატო-ს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები იმყოფებიან. დღის წესრიგის მთავრი საკითხი ნატო-ს ეგიდით ავღანეთეთში მიმდინარე ანტიტერორისტული ოპერაციაა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ევროკავშირმა საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების პარაფირების ტექსტი გამოაქვეყნა

ევროკავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების პარაფირების ტექსტი გამოქვეყნდა.

დოკუმენტში, რომელიც 1000 გვერდს მოიცავს, აღნიშნულია, რომ ევროკავშირი მზად არის, საქართველოს დემოკრატიული პრინციპების, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის განმტკიცების პროცესში დაეხმაროს და საქართველოს მოქალაქეებისთვის მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებელი უზრუნველყოს.

ევროკავშირი სურვილს გამოთქვამს საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციონალური განვითარების კუთხითაც დაეხმაროს.

ამასთან, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების პარაფირების ტექსტის მოკლე აღწერილობაში ნათქვამია, რომ თანამშრომლობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების ხელშეკრულების რეალიზაციამდეც კი ღრმაა.

ევროკავშირის საიტზე აღნიშნულია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების ხელშეკრულება ჯერ ხელმოწერილი არ არის, ევროკავშირი მზადაა გაამჟღავნოს, რას მოიცავს ეს დოკუმენტი.

„ასოცირების ხელშეკრულება არის კონკრეტული გზა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის პოზიტიური დინამიკის უპირატესობების გამოსაყენებლად.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

1 აშშ დოლარი . . . . . 1.6643⇓
1 ევრო . . . . . 2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა . 2.5933⇓
1 თურქული ლირა . . . 0.8622⇓
100 რუსული რუბლი . . 5.0433⇓

თბილისი . . . . . 31°C - 20°C
ქუთაისი . . . . . 33°C - 20°C
ზუგდიდი . . . . . 32°C - 21°C
ბათუმი . . . . . 27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

მესი - საუკეთესო, რონალდუ - სასარგებლო

გიგა გურასაშვილი

წლის ბოლოა და ყველა თავისას ითვლის. ასეა ესპანურ ფეხბურთშიც, სადაც ქვეყნის პროფესიული საფეხბურთო ლიგის 2012-13 წლების პრიმერა დივიზიონის საუკეთესოები გამოვლინდნენ.

საუკეთესო მოთამაშედ და თავდამსხმელად „ბარსელონას“ არგენტინელი ლეგიონერი ლეო მესი, ხოლო ყველაზე სასარგებლო ფეხბურთელად მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელი თავდამსხმელი კრიშტიანუ რონალდუ დაასახელეს.

გაგრძელება
მე-8 გვერდზე

სეფა

თბილისის კინოფესტივალი ლევან კოღუაშვილის ფილმით გაიხსნა

ია ვეკუა

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალი გაიხსნა. გახსნა აქციით კინოთეატრ „აპოლოს“ გადასარჩენად, რომელიც ამ უძველესი შენობის ქალაქისთვის, მაყურებლისთვის დასაბრუნებელი ერთგვარი მოძრაობის შემადგენელი ნაწილი იყო და გაგრძელდა იმით, რაც „აპოლოს“ მრავალი წელია არ ღირსებია - კინოჩვენებით. წელს ფესტივალი ქართულმა ფილმმა გახსნა და ყველაზე სასიამოვნო სწორედ ის ფაქტია, რომ საფესტივალო პროგრამის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი სწორედ ეს ფილმი გახლდათ. სხვანაირად ალბათ არც შეიძლებოდა, რადგან ფილმის ავტორი ლევან კოღუაშვილია, უკანასკნელი წლების შესაძლოა საუკეთესო ქართველი რეჟისორი, რომლის „ქუჩის დღეებიდან“ გამოყოლილი განწყობა მისმა „შემთხვევითმა პაემნებმა“ საუკეთესოდ შეინარჩუნა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

„შემთხვევითი პაემნები“

საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 19 ნოემბრის N 19/11/03 განკარგულებით გამოცხადებულ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილე პირთა სია

1 ლაშა ჯიბღაშვილი
2 თამაზ კრავეიშვილი
3 გიორგი რურუა
4 გია ნიკოლაიშვილი
5 დავით ცერცვაძე
6 ეკატერინე მოდებაძე
7 ინგა კელენჯერიძე
8 გიორგი მკურნალიძე
9 გიორგი ჯერენაშვილი
10 დიმიტრი ჯავახაძე
11 ლიანა ბობოხიძე
12 ზაზა ვაშაკიძე
13 გიორგი ქისტაური
14 ვაჟა შავიშვილი
15 ვალერიან მაისურაძე
16 გიორგი შარაბიძე
17 ზაალ ზაალიშვილი
18 მარიამ შელეგია
19 ქეთევან მიქელაძე
20 ნანა ბღარაშვილი
21 ეკატერინე ჩაფიჩაძე
22 ქეთევან ჩოჩია
23 ვლადიმერ ბოჟაძე
24 სოფიო გახელაძე

მარგველაშვილმა ჰამარბერგს მთავრობასთან თანამშრომლობის გაგრძელება 2014 წელსაც სთხოვა

პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამართლებრივ რეფორმებსა და ადამიანის უფლებების საკითხებში თომას ჰამარბერგი საკუთარ სამუშაო კაბინეტში მიიღო. შეხვედრაზე მარგველაშვილმა მართლმსაჯულების სფეროში დაწყებული რეფორმების გაგრძელების შესახებ ხელისუფლების პოლიტიკური ნება კიდევ ერთხელ დაადასტურა.

გიორგი მარგველაშვილმა თომას ჰამარბერგთან შეხვედრაზე აღნიშნა, რომ 2014 წელი საქართველოსთვის რთული იქნება, ვინაიდან ქვეყანა სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას და ევროკავშირის მხარდაჭერა მნიშვნელოვანია ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებიდან მის ხელმოწერამდე ერთი წლის განმავლობაში.

თომას ჰამარბერგი საქართველოში მისიას 2013 წლის დეკემბერში დაასრულებს. გიორგი მარგველაშვილმა მას საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობის გაგრძელება 2014 წლის განმავლობაშიც სთხოვა.

როგორც ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, გიორგი მარგველაშვილთან კონსტრუქციული შეხვედრა ჰქონდა. საუბრისას განიხილეს 2013 წლის სექტემბერში ევროკავშირის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის მიმართულებით საქართველოს მთავრობისთვის მიცემული რეკომენდაციები, რაც გახდება საქართველოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმის ნაწილი.

«პრეზიდენტი ძალიან დადებითად არის განწყობილი ამ საკითხების განვითარებით. ადამიანის უფლებების დაცვა იქნება ერთ-ერთი წამყვანი გამოწვევა ქვეყნისათვის. ასევე ვისაუბრეთ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე და იმ წარმატებებზე, რაც თქვენს ქვეყანას ჰქონდა ვილნიუსში. საქართველოს დაახლოება ევროპულ საზოგადოებასთან ხელს შეუწყობს საქართველო-ევროპას შორის მიმოსვლას, ეკონომიკასა და ვაჭრობას, რაც ჩვეულებრივ მოქალაქეებზეც აისახება», - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ ჰამარბერგმა.

ევროკავშირმა საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების პარაფირების ტექსტი გამოაქვეყნა

პირველი გვერდიდან

ის ორიენტირებულია მხარი დაუჭიროს ძირეულ რეფორმებს, ეკონომიკის აღდგენას, მმართველობის სისტემას, დარგობრივ თანამშრომლობას და საქართველოსა და ევროკავშირს შორის სავაჭრო ურთიერთობის ლიბერალიზაციას.

ასოცირების შესახებ შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის გაღრმავებას და, საბოლოოდ, საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირის შიდა ბაზარზე. ის მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას, რაც შეთანხმების მთავარ ნაწილს წარმოადგენს.

თანამშრომლობის მთავარი სფეროებია რეფორმები, რომლებიც გათვალისწინებულია რამდენიმე მნიშვნელოვან დარგში, მათ შორისაა: უსაფრთხოების პოლიტიკა, ეკონომიკის აღდგენა და ზრდა, მმართველობა და დარგობრივი თანამშრომლობა ენერგეტიკის, ტრანსპორტის, გარემოს დაცვის საკითხებში, სამრეწველო თანამშრომლობა, სოციალური განვითარება და დაცვა, თანასწორუფლებიანობა, მომხმარებლის დაცვის შესახებ განათლება, ახალგაზრდული და კულტურული თანამშრომლობა“, - აღნიშნულია ტექსტში.

რაც შეეხება ღირებულებებს, დოკუმენტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს დემოკრატიასა და კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებს და ფუნდამენტურ თავისუფლებას, კარგ მმართველობას, საბაზრო ეკონომიკასა და მდგრად განვითარებას.

ვაჭრობის კუთხით კი, ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს სავაჭრო და ეკონომიკურ ზრდას ხელი შეეწყობა საბაჟო ტარიფებისა და კვოტებს მოხსნით, კანონების, ნორმებისა და რეგულაციების ყოვლისმომცველი დაახლოებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სექტორში. ეს ყველაფერი გაამარტივებს საქართველოს პროგრესულ ინტეგრაციას ევროკავშირის ეკონომიკაში.

რაც შეეხება მოქალაქეების სარგებელს ასოცირების ხელშეკრულებიდან, ევროკავშირში განმარტავენ, რომ დოკუმენტის ხელმოწერისა და დანერგვისთანავე მოქალაქეები კონკრეტული უპირატესობებით სარგებლობას შეძლებენ. მაგალითად, მომხმარებელთა გაუმჯობესებული დაცვა უფრო მაღალი ხარისხის ადგილობრივად მოყვანილი სოფლის მეურნეობის პროდუქტების საშუალებით, უკეთესი ბიზნეს შესაძლებლობები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ბაზრების გახსნით; გაუმჯობესებული ჯანდაცვის სერვისზე მეტი ხელმისაწვდომობა; ენერგეტიკული რესურსების უფრო ეფექტური გამოყენებისა და განახლებადი ენერგიის წყაროების განვითარების ხარჯზე ენერგიის დაზოგვით; უკეთესად ფუნქციონირებადი სასამართლო სისტემით და გამყარებული კანონის უზენაესობით, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო პირების მიმართ ანგარიშვალდებულების წესებითა და გაზრდილი გამჭვირვალობით.

„თანამშრომლობა ევროკავშირსა და საქართველოს შორის უკვე ღრმაა, ასოცირების ხელშეკრულების რეალიზაციამდეც კი“, - აღნიშნულია პარაფირების ტექსტის მოკლე აღწერილობაში.

მასში მითითებულია, რომ 29 ნოემბრის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება მოხდა. ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც მოიცავდა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებას, გაამყარებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სავაჭრო ურთიერთობებს მხარეებს შორის.

ევროკავშირის საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების პარაფირებული ტექსტის პრეამბულაში ნათქვამია, რომ ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთი მიზანი, მხარეებს შორის პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებაა.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მხარეები ითვალისწინებენ მტკიცე კავშირებს და საერთო ღირებულებებს, რაც წარსულში ჩამოყალიბდა და განვითარდა პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში.

მხარეები აღიარებენ ერთობლივ სურვილს, შემდგომში განავითარონ, გააძლიერონ და გააფართოვონ ურთიერთობები.

მხარეები ასევე აღიარებენ, რომ საქართველო, როგორც აღმოსავლეთ ევროპის ქვეყანა, ვალდებულებას იღებს განახორციელოს ღირებულებები და რომ საქართველო იზიარებს ისტორიულ კავშირებს და საერთო ღირებულებებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან.

„მხარეებს ესმით, რომ შიდა რეფორმები მიმართული დემოკრატიის გაძლიერებისა და საბაზრო ეკონომიკისკენ გაადვილებს საქართველოს მონაწილეობას ევროკავშირის პოლიტიკურ პროცესებში, პროგრამებში და სააგენტოებში.

მხარეებს სურთ, ხელი შეუწყონ საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ განვითარებას ფართო თანამშრომლობის მეშვეობით ბევრ სფეროში, რომელიც საერთო ინტერესს წარმოადგენს, როგორიცაა სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, ეფექტური მმართველობა, მათ შორის საგადასახადო სფეროში, სავაჭრო ინტეგრაციაში, სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებაში, საჯარო მმართველობისა და სამოქალაქო მოსამსახურების რეფორმების სფეროში, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, სიღარიბის შემცირებაში და თანამშრომლობაში მართლმსაჯულების, თავისუფლებისა და უსაფრთხოების სფეროში, რაც საჭიროა ამ ხელშეკრულების განხორციელებისთვის.

მხარეები პატივს სცემენ დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობას. მხარეები აღიარებენ საქართველოს ძალისხმევას აღადგინოს ტერიტორიული მთლიანობა და სრული და ეფექტური კონტროლი საქართველოს რეგიონებში, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში, რისი მიზანიცაა კონფლიქტის მტკიცე და მშვიდობიანი გადაწყვეტა საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე დაყრდნობით.

მხარეები აღიარებენ 2008 წლის 12 აგვისტოს მიღწეული 6-პუნქტიანი შეთანხმების განხორციელების მნიშვნელობას და მშვიდობის შესანარჩუნებლად საერთაშორისო ძალების ყოფნას კონფლიქტის ადგილზე, ასევე იძულებით გადაადგილებული პირების ღირსეულ დაბრუნებას საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად.

მხარეები დარწმუნებულები არიან, რომ ეს ხელშეკრულება შექმნის ახალ გარემოს ეკონომიკური ურთიერთობებისთვის და პირველ რიგში ვაჭრობისა და ინვესტიციების განვითარებისთვის, ასევე ხელს შეუწყობს კონკურენციას, რაც უმთავრესია ეკონომიკის რესტრუქტურიზაციისა და მოდერნიზაციისთვის.

ამ ხელშეკრულების მიზანია მხარეებს შორის პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარება; ასევე ხელი შეუწყოს დემოკრატიის გაძლიერებას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ სტაბილურობას საქართველოში; ხელი შეუწყოს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრის თანამშრომლობას; გააძლიეროს თანამშრომლობა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში, რათა კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები განმტკიცდეს.

ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების შინაარსია: პრეამბულა; ზოგადი პრინციპები; პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა; თანამშრომლობა საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში; მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება; ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები; ეკონომიკური თანამშრომლობა; თანამშრომლობის სხვა საკითხები; ფინანსური დახმარება, თაღლითობის წინააღმდეგ მიმართული და კონტროლის ზომები; ინსტიტუციონალური, ზოგადი და დასკვნითი დადგენილებები, - ნათქვამია ევროკავშირის საქართველოსთან ასოცირების შეთანხმების პარაფირებული ტექსტის პრეამბულაში.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ პოლიტიკური დიალოგი მხარეებს შორის ყველა იმ სფეროში, რაც საერთო ინტერესს წარმოადგენს, მათ შორის საგარეო და უსაფრთხოების საკითხებზე და შიდა რეფორმებზე, შემდგომში უნდა განვითარდეს და გაძლიერდეს.

ამასთან ნათქვამია, რომ პოლიტიკური დიალოგი გაზრდის პოლიტიკური თანამშრომლობის ეფექტურობას და ხელს შეუწყობს დაახლოებას საგარეო და უსაფრთხოების საკითხებზე.

პოლიტიკური დიალოგის მიზნებია: გააღრმავოს პოლიტიკური ასოცირება, გაზარდოს ეფექტურობა და დაახლოება პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში; ხელი შეუწყოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს, საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობას, სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, როგორც ეს ჩაწერილია გაერო-ს წესდებაში და 1975 წლის ჰელსინკის საბოლოო აქტში; ხელი შეუწყოს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრას; ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტაბილურობასა და უსაფრთხოებას ეფექტური, მრავალმხრივი თანამშრომლობის მეშვეობით; გააძლიეროს თანამშრომლობა და დიალოგი მხარეებს შორის საერთაშორისო უსაფრთხოებისა და კრიზისული სიტუაციების მმართვის თაობაზე; გააძლიეროს თანამშრომლობა მასობრივი იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში; გააძლიეროს დემოკრატიული პრინციპების პატივისცემა, კანონის უზენაესობა და კარგი მმართველობა, ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, მათ შორის მედიის თავისუფლება და უმცირესობების უფლებები და ხელი შეუწყოს შიდა რეფორმების განმტკიცებას; უზრუნველყოს საქართველოსა და ევროკავშირის მჭიდრო პოლიტიკური ასოცირების უპირატესობებით საქართველოს ყველა მოქალაქე მისი საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის ნოემბრის აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში კეტრინ ეშტონმა, ევროკომისარმა კარელ დე გუხტმა და მათმა ქართველმა კოლეგებმა მოახდინეს ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება იმისათვის, რომ უფრო გამყარდეს თანამშრომლობა ევროკავშირს, საქართველოსა და მის მოქალაქეებს შორის. ხელშეკრულების პარაფირება მნიშვნელოვანი საფეხურია ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა და საქართველოს მიერ მის საბოლოო ხელმოწერამდე და მის შემდგომ რეალიზაციამდე.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

უამინდობა საქართველოში

პირველი გვერდიდან

„არსებული სინოპტიკური სიტუაცია განაპირობებს ძლიერ, დროგამოშვებით ძალიან ძლიერ ქარს, ზღვის ძლიერ ღელვას, ძლიერ ნალექებს, მთაში და მაღალ მთაში ძლიერ თოვლს, ზოგან ქარბუქს, აგრეთვე ჰაერის ტემპერატურის მკვეთრ დაწევას“, - განაცხადეს სამინისტროში.

გუშინ, ძლიერმა ქარმა ცოტნე დადიანის ქუჩაზე, 34 ნომერში ხე წააქცია, რამაც ბუნებრივი აირის მილი დააზიანა, შედეგად ადგილზე დიდი რაოდენობით ბუნებრივი აირი იფრქვეოდა. მიმდებარე ტერიტორიაზე, კერძო სკოლა „ოაზისისა“ და 46-ე საბავშვო ბაღის ევაკუაცია განხორციელდა. გაზის გადაკეტვის შედეგად თბილისის დაახლოებით 15 ათას აბონენტს გაზმომარაგება შეეზღუდა.

გარდა ამისა, ძლიერი ქარის შედეგად, თბილისში მდებარე იუსტიციის სახლის სახურავი დაზიანდა. კერძოდ, ქარმა იუსტიციის სახლის ცენტრალურ შესასვლელთან თაბაშირმუყაოს კონსტრუქცია ჩამოშალა.

„სახურავის ნაწილის ჩამოშლის შედეგად, საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა. იუსტიციის მინისტრმა და იუსტიციის სახლის მენეჯმენტმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ უსაფრთხოების მიზნით, მომხდარიყო თანამშრომლების ევაკუაცია. სამაშველო სამსახურის თანამშრომლები კი ამ წუთებში შენობაში იმყოფებიან,“ - განაცხადა იუსტიციის სამინისტროს პრეს-სამსახურის უფროსმა მარიამ სხილაძემ.

ამასთან, ძლიერმა ქარმა ჩუღურეთის რაიონში ოც სახლს სახურავი გადახადა. დიდუბის გამგებლის დავით დაღელაშვილის განცხადებით, გამგეობა საგანგებო რეჟიმში მუშაობს. მისი თქმით, ზოგიერთ სახლს სახურავი მთლიანად აქვს გადახდილი, ზოგს კი - ნაწილობრივ.

აჭარაში კი, ზღვის ღელვა გაძლიერდა და შტორმის სიმძლავრემ, გუშინდელი საღამოს მონაცემებით, ხუთ ბალს მიაღწია. ზღვის ტალღები გზის სავალ ნაწილამდე აღწევდა. ბათუმის ახალი ბულვარის ტერიტორიაზე კი, ძლიერი ღელვის გამო, ზღვიდან ქვიშა გადმოიყარა.

რაც შეეხება ფოთს, ძლიერმა ქარმა ხეები და ელექტროგადამცემი ხაზები დააზიანა, რის გამოც ფოთის რამდენიმე უბანს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა. ადგილობრივ თვითმმართველობაში შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც ზარალის დათვლაზე მუშაობს. ზარალის ზუსტი ოდენობა ამ დროისთვის უცნობია.

„ამინდი გუშინ გვიან ღამით გაუარესდა, შესაბამისი სამსახურები დილიდანვე მობილიზებულნი იყვნენ. უამინდობამ ქალაქს გარკვეული ზიანი მიაყენა. ამჟამად მიმდინარეობს ტერიტორიების დასუფთავება. შექმნილია სპეციალური კომისიაც, რომელიც ზარალის ზუსტ ოდენობას დაადგენს“, - განაცხადა ფოთის მერის მოადგილემ, ლაშა კუპრეიშილმა.

უამინდობისა და ქარის გაძლიერების გამო, მუშაობა დროებით შეაჩერა ფოთის პორტმაც. ნავსადგურის ადმინისტრაციის უფროსის, მარიკა ნადარაიას ინფორმაციით, შტორმის სიმძლავრე 5-6 ბალს აღწევს.

„ქარის სიჩქარემ 25 მ/წმ-ს მიაღწია. ასეთ დროს, როგორც ჩვეულებრივ ხდება, პორტი დროებით აჩერებს მუშაობას. გამოდარებისთანავე, ნავსადგური ჩვეულებრივ რეჟიმში გააგრძელებს მუშაობას. რაიმე სახის ზარალი არ დაფიქსირებულა. ჩვენი მონაცემებით, ამ დროისთვის 5-6 ბალიანი შტორმია“, - განაცხადა, მარიკა ნადარაიამ.

უამინდობის გამო ელექტრომომაგება შეუწყდა საქართველოს ზოგიერთ რეგიონს. დღის ბოლოს გათიშული აბონენტების ნაწილს ელექტრომომარაგება აღუდგა. კერძოდ, 70 ათასი გათიშული აბონენტიდან 20 000 აბონენტს.

„ენერგო-პრო ჯორჯიის“ ინფორმაციით, ძლიერმა ქარმა ელექტროენერგიის გადამცემი ხაზები დააზიანა, რამაც ელექტრომომარაგების შეზღუდვა გამოიწვია.

„კომპანიაში დაზიანების შესახებ ინფორმაციის შემოსვლისთანავე, ტექნიკური სამსახური დაზიანების ლოკალიზაციისა და აღმოფხვრის მიზნით შესაბამის ადგილებზე ოპერატიულად გავიდა“, - აცხადებენ „ენერგო-პრო ჯორჯიაში“.

აღმოსავლეთ საქართველოს მთასა და მაღალმთაში დიდთოვლობა იყო. სტიქიასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა შინაგან საქმეთა სამინისტრომაც.

შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტმა მოქალაქეებს მოუწოდა, უამინდობის გამო თავი შეიკავონ ავტომობილებით გადაადგილებისგან რიკოთის, გოდერძის, წალკა-ნინოწმინდისა და კობი-გუდაურის უღელტეხილებზე.

აღნიშნულ მიმართულებებზე გადაადგილება ყველა სახის ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის შეზღუდული იყო.

შსს-ს ინფორმაციით, დღეს მოძრაობა დასაშვები იქნება მსუბუქი ავტომობილებისთვის მხოლოდ მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით, ხოლო მისაბმელიანი და ნახევრადმისაბმელიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის გადაადგილება კვლავ შეზღუდული იქნება.

გარემოს ეროვნული სააგენტოს გრძელვადიანი პროგნოზების ბიუროს უფროსის მოადგილის ნინო წვერავას განცხადებით, ძლიერი ქარი ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ოთხი დეკემბრის დილამდე შენარჩუნდება. ქარის სიჩქარე 20-25 მეტრ წამიდან 17-22 მეტრ წამამდე შემცირდება, დღის განმავლობაში კი თანდათან შესუსტდება.

ოთხ დეკემბერს დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა ღამით -2+3 გრადუსი იქნება.

უფრო დაბალი ტემპერატურაა მოსალოდნელი აღმოსავლეთ საქართველოში. მაღალმთასა და მთაში თოვლი შენარჩუნდება. კერძოდ, თოვს გუდაურში, ბაკურიანში, ფასანაურსა და რიკოთზე.

ამასთან, ყინვები, მშრალი და ცივი ამინდები 5-6 დეკემბერსაც შენარჩუნდება. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ღამით -6-1 გრადუსია მოსალოდნელი; -8; -6 შიდა ქართლში; -4; - 2 კახეთში; თბილისში -2.

5-6 დეკემბერს დასავლეთ საქართველოში -2+3 გრადუსი იქნება, მათ შორის კოლხეთის დაბლობზე +1;+3 გრადუსი.

უნალექო ამინდები საქართველოში 8 დეკემბრამდე შენარჩუნდება, შემდეგ ამინდი ისევ შეიცვლება.

ჯონ კერი გაზაფხულზე საქართველოში ვიზიტს გეგმავს

პირველი გვერდიდან

ნატო-ს ღონისძიებების დაწყებამდე მაია ფანჯიკიძე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯონ კერის შეხვდა. ქართული მხრიდან შეხვედრას საქართველოს ელჩი აშშ-ში არჩილ გეგეშიძე და ნატო-ში საქართველოს წარმომადგენელი ლევან დოლიძე ესწრებოდნენ. ჯონ კერისთან შეხვედრაში მონაწილეობდნენ აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდი, აშშ-ს მუდმივი წარმომადგენელი ნატო-ში დუგლას ლიუტი და საქართველოში აშშ-ს ყოფილი ელჩი ჯონ ბასი.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, შეხვედრაზე ორმხრივი ურთიერთობების საკითხთა ფართო სპექტრი განიხილეს. საუბარი, ასევე შეეხო მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობის საკითხებს. ამერიკული მხარე საქართველოს მიერ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებას და საქართველოს ევროპულ მისწრაფებებს მიესალმა.

მაია ფანჯიკიძის თქმით, ამერიკულმა მხარემ იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მალე მოეწერება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე ამუშავდება, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც სავაჭრო დიალოგს ახალ იმპულსს მისცემს. **„ვისაუბრეთ იმ შესაძლო წნეხის შესახებ, რომელიც ასოცირების ხელშეკრულების პარაფირებიდან ხელმოწერამდე შესაძლოა, რუსეთმა საქართველოზე განახორციელოს,“** - დასძენს ფანჯიკიძე.

მინისტის თქმით, განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესი იყო. **„ჩვენი მოლოდინის შესახებ ვისაუბრეთ, რადგან ბუქარესტის გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საქართველო ნატო-ს წევრი გახდება, რასაკვირველია, ძალაშია. გარდა ამისა, ჩიკაგოს სამიტზე ითქვა, რომ საქართველოს წინ ორი სერიოზული არჩევნები (2012-2013 წლებში) ჰქონდა ჩასატარებელი, რაც დემოკრატიის ტესტი იქნებოდა. იმედი მაქვს, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები დემოკრატიის ბოლო ტესტი იყო, რომლის ჩაბარებაც საქართველოს მოუწია. ეს უპრეცედენტოდ თავისუფალი, ნამდვილი ევროპული სტანდარტის არჩევნები იყო. ამასთან, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ქვეყანაში მნიშვნელოვანი რეფორმები გავატარეთ. იმედი და სურვილი გამოვთქვი, რომ 2014 წლის ნატო-ს სამიტი საქართველოსთვის კონკრეტულ შედეგს მოიტანს“,** - აღნიშნა მაია ფანჯიკიძემ.

განხილვის ერთ-ერთი თემა საქართველო-რუსეთის ურთიერთობები იყო. ფანჯიკიძე ამბობს, რომ საუბარი საქართველოს მიერ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს შეეხო, რასაც რუსეთის მხრიდან არაადეკვატური პასუხი, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მავთულხლართების გავლება მოჰყვა. **„რუსეთის ქმედებებმა შესაძლოა ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღდგენას ხელი შეუშალოს,“** - მიიჩნევს მაია ფანჯიკიძე.

რაც შეეხება აშშ-სთან თანამშრომლობის გაღრმავების საკითხს, არჩილ გეგეშიძის ინფორმაციით, შეხვედრაზე ჯონ კერიმ პირობა დადო, რომ საქართველოს 2014 წლის გაზაფხულზე ეწვევა.

კერის ვიზიტამდე, სახელმწიფო დეპარტამენტის ინფორმაციით, საქართველოს 6 დეკემბერს ვიქტორია ნულანდი ეწვევა. იგი თბილისში კიევიდან ჩამოვა, სადაც სამხრეთ და ცენტრალური აზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ნიშა ბისვოლთან ერთად ეუთო-ს რეგიონულ მინისტერიალში მიიღებს მონაწილეობას.

ნულანდი საქართველოს ხელისუფლების პირველ პირებსა და ოპოზიციის ლიდერებს შეხვდება. საუბრის ძირითადი თემები ორმხრივი და რეგიონული საკითხები, ასევე საქართველოს ევროპული არჩევანი იქნება.

ნულანდი თბილისიდან მოსკოვში გაემგზავრება და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებტან მოლაპარაკებებს გამართავს.

დღეს ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის დაწყებამდე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ნატო-ს მინისტერიალზე სიტყვით გამოსვლას გეგმავს. ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოსა და ნატო-ს საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის წინ კი ნატო-ს გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა ბრიფინგი გამართა და ჟურნალისტებს მინისტერიალის დღის წესრიგი გააცნო. მთავარი განსახილველი საკითხი ავღანეთში 2014 წლის შემდეგ საერთაშორისო სამხედრო და ფინანსური დახმარების გაგრძელებაა. როგორც რასმუსენი ამბობს, თუ პრეზიდენტი ჰამიდ კარზაი შესაბამის შეთანხმებას ხელს დროულად არ მოაწერს, შესაძლოა, დაფინანსების პრობლემები შეიქმნას.

რასმუსენმა ნატო-საქართველოს კომისიის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ წარმატებული საარჩევნო პროცესის შემდეგ საქართველოსთან თანამშრომლობა გაფართოვდება. **ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ საქართველოს მისწრაფებებს და რეფორმების გატარების განზრახვას მივესალმებით,“** - ამბობს რასმუსენი.

გენერალური მდივანი საქართველოსა და მოლდავეთის მიერ ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებების პარაფირების საკითხსაც გამოეხმაურა. **„ნატო-ს პოზიცია ძალიან ნათელია. თითოეული ქვეყნის სუვერენული უფლებაა, აირჩიოს საკუთარი გზა და ის, რომელ ალიანსში გაწევრიანდეს,“** - აღნიშნავს რასმუსენი.

საკუთარი ინფორმაცია

გიგი უგულავა ჯოზეფ ქეის დაკითხვას ელოდება

თბილისის მერის გიგი უგულავას და თავდაცვის ყოფილი მინისტრის დავით კეზერაშვილის წინააღმდეგ აღძრულ საქმეზე, რომელიც ტელე „იმედისა“ და რიყის ტერიტორიის გასხვისებას ეხება, სასამართლო პროცესი 10 დეკემბრისთვის გადაიდო.

პროცესის გადადების მიზეზი ბრალდების მხარის მიერ პროცესზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია გახდა, რომელიც დავით კეზერაშვილის საექსტრადაციო და დაკავების მასალებს მოიცავს.

მასალების წარმოდგენის შემდეგ, დაცვის მხარემ დაკავების დოკუმენტაციის გასაცნობად მოსამართლეს დროის მიცემა მოთხოვა. ადვოკატების შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და პროცესი 10 დეკემბერს, 16:00 საათისთვის დაინიშნა.

პროკურორმა ლევან სალიამ, სასამართლოსთვის მიწოდებული დოკუმენტების შესახებ განმარტება გააკეთა. მისი თქმით, დოკუმენტები მოიცავს როგორც საექსტრადაციო, ასევე დაკავების მასალებს და მასში განმარტებულია კეზერაშვილის დაკავების მიზეზი.

პროკურორის თქმით, დაკავების მიზეზი სწორედ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე გახდა და თავდაცვის ყოფილი მინისტრის საფრანგეთში დაკავება ქართული მხარის მოთხოვნით განხორციელდა.

გახდება თუ არა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მასალები კეზერაშვილისა და უგულავას საქმეების ცალ-ცალკე წარმოებად გამოყოფის მიზეზი, მომავალ პროცესზე გახდება ცნობილი.

დავით კეზერაშვილის ადვოკატის შოთა მინდელის განცხადებით, ბრალდების მხარის პოზიცია, საქმეების გამოყოფასთან დაკავშირებით, ადვოკატებისთვის ჯერ-ჯერობით უცნობია.

გუშინდელი პროცესის გადადებამდე ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა გიგი უგულავამ. თბილისის მერმა აღინიშნა, რომ საქმეში პროკურატურის მთავარი კოზირი- ჯოზეფ ქეის დაკითხვას ელოდება.

გიგი უგულავას განცხადებით, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმე მის წინააღმდეგ მასკარადია და თუკი მისი უდანაშაულობა დამტკიცდება, იგი პროკურატურას ბოდიშის მოხდას მოსთხოვს.

გაერო: ასადი სამხედრო დანაშაული მონაწილეობდა

გაეროს გააჩნია იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ სირიის პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასად სამხედრო დანაშაულის ჩადენაზეა პასუხისმგებელი. ამის შესახებ ადამიანის უფლებების საკითხებში გაეროს უმაღლესმა კომისარმა ნავი პილაიმ განაცხადა. ეს პირველი შემთხვევაა როდესაც გაერო ასადის დანაშაულის შესახებ პირდაპირ აცხადებს. პილაის განცხადებით, ომის დანაშაულში სხვა მაღალჩინოსნების ბრალიც დასტურდება. გაეროს მონაცემებით, სირიაში 2011 წლის მარტში დაწყებულ კონფლიქტს 110 000 ადამიანზე მეტი ემსხვერპლა. პილაის განცხადებით გაეროს კომისიამ იმ პირთა სია შეადგინა, რომლებიც ექსპერტთა აზრით, უხეშ დანაშაულზე არიან პასუხისმგებელნი. პილაის განცხადებას სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ფეისალ მეყდადიც გამოეხმაურა, მისი თქმით: „პილაი უკვე დიდი ხანია სისულელეებს ლაპრაკობს და ჩვენ მას უკვე აღარ ვუსმენთ," - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ. წინსვლაა სირიის ქიმიური არსენალის განადგურების საქმეშიც. ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების თანახმად „ინდოეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება სირიის ქიმიური იარაღის განადგურებისთვის ჰააგაში შექმნილ სპეციალურ ფონდს ფინანსურად დაეხმაროს."

ქიმიური იარაღის აკრძალავის ორგანიზაციამ 15 ნოემბერს სირიის ქიმიური არსენალის განადგურების დეტალური გეგმა დაამტკიცა. ამ გეგმის თანახმად, ქიმიური იარაღის დასამზადებლად საჭირო ყველა მასალა, იზოპროპანოლის გარდა, სირიიდან 2014 წლის 5 თებერვალამდე უნდა გაიტანონ; ყველაზე საშიში მასალები კი - ამ წლის ბოლოსათვის. ის ობიექტები, რომლებიც სირიის ქიმიურ მარაგს უკავშირდება, 2013 წლის 15 დეკემბრიდან 2014 წლის 15 მარტის პერიოდში უნდა განადგურდეს. სირიის ქიმიური იარაღის განადგურებისთვის მზადყოფნა 35-მა კომპანიამ გამოთქვა. ყველაზე საშიში ქიმიური ნივთიერებები კი, შესაძლოა, საერთაშორისო წყლებში განადგურდეს, ვინაიდან რამდენიმე ქვეყანამ მათ მიღებაზე და განადგურებაზე უარი განაცხადა.

ჩინეთში ნავთობსადენზე მომხდარ აფეთქებას 62 ადამიანი შეეწირა

ჩინეთის აღმოსავლეთში, ქალაქ ცინდაოში ნავთობსადენზე მომხდარ აფეთქებას 62 ადამიანი ემსხვერპლა. 3 დეკემბრის მონაცემებით, საავადმყოფოში 136 ადამიანი რჩება. ადგილობრივი მედიის ცნობით, ცინდაოს ნავთობსადენი, რომელიც ქალაქ დუნინს და შანდუნის პროვინციას აკავშირებდა, სამუდამოდ დაიხურა. გამოძიების თანახმად, აფეთქების მიზეზი ნავთობსადენზე მომხდარი გაჟონვა გახდა. ამ დროისათვის მიმდინარეობს ყვითელი ზღვის განწმენდითი სამუშაოები, სადაც ნავთობპროდუქტები ჩაიღვარა.

პუტინმა სომხეთს რუსული ბიზნესის ხელშეწყობისთვის მადლობა გადაუხადა

სომხეთში ვიზიტის დროს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა სომხეთის ხელისუფლებას რუსული ბიზნენისასთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის გამო მადლობა გადაუხადა და იმედი გამოთქვა, რომ მომავალ წელს ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვა წინა წლის ბრუნვის მაჩვენებლს - 1,2 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. „დარწმუნებული ვარ, რომ თუ ჩვენ საბაჟო კავშირში სომხეთის გაწევრიანების გეგმას განვახორციელებთ, რომლის ხელისშემშლელ პირობებსაც მე ვერ ვხედავ, ჩვენ ერთობლივად გაცილებით მეტ სამუშაოებს ჩავატარებთ," - აღნიშნა რუსეთის პრეზიდენტმა სომეხ კოლეგასთან შეხვედრისას. თავის მხრივ სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარგსიანმა აღნიშნა, რომ მოკლე პერიოდში ევრაზიის ეკონომიკურ კავშირში სომხეთის გაწევრიანებისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

კოლუმბიის პრეზიდენტი ბარაკ ობამას შეხვდა

კოლუმბიის პრეზიდენტი ხუან მანუელ სანტოსი სამშაბათს ვაშინგტონში ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას შეხვდა. მანამდე, ორშაბათს პრეზიდენტმა მაიამის უნივერსიტეტში «ფარკ»-ის მეამბოხეებთან სამშვიდობო მოლაპარაკების შესახებ ისაუბრა: „იმედი მაქვს ყველაფერი სწორი მიმართულებით მიდის," - აღნიშნა პრეზიდენტმა. მაიამის უნივერსიტეტში 30 წუთიანი გამოსვლისას სანტოსმა კოლუმბიის ეკონომიკის ზრდაზეც ისაუბრა. 2010 წლის შემდეგ, რაც სანტოსი კოლუმბიის პრეზიდენტი გახდა, ეს მისი მეორე ვიზიტია ამერიკაში. შეხვედრისას პრეზიდენტებმა უმთავრესად განათლების, ტექნოლოგიებისა და რეგიონის უსაფრთხოების შესახებ ისაუბრეს.

ეგვიპტეში ცნობილი ბლოგერი დააკავეს

„როიტერის" ცნობით, სამშაბათს ცნობილი ეგვიპტელი ბლოგერი აჰმედ დუმა დააკავეს. «მე ახლა ბასატენის პოლიციის განყოფილებაში ვარ. ამ დრომდე არ ვიცი ჩემი დაკავების მიზეზი," - დაწერა დუმამ „ტვითერის" მიკრობლოგზე. ადგილობრივი საინფორმაციო მედიასაშუალებების ცნობით, დუმას პარლამენტის წინ საპროტესტო გამოსვლების დროს ძალადობის ხელშეწყობაში სდებენ ბრალს. ცოტა ხნის წინ პოლიციამ აქტივისტი ალა აბდელ ფატაჰიც დააკავა, რომელიც ჰოსნი მუბარაქის წინააღმდეგ გამოსვლებში იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ქვეყანაში ცოტა ხნის წინ ახალი კანონი მიიღეს, რომელიც საჯარო ადგილებში ათზე მეტი ადამიანის თავშეყრას კრძალავს. არმიის მიერ მოქმედი პრეზიდენტის მოჰამედ მურსის გადაყენების შემდეგ ქვეყანაში მისი მხარდამჭერების საპროტესტო გამოსვლები დაიწყო. დემონსტანტებსა და უსაფრთხოების ძალებს შორის შეტაკებას ათას ადამიანზე მეტი ემსხვერპლა.

მოამზადა თამთა კახაძემ

უკრაინის რადამ მთავრობა არ გადააყენა

პირველი გვერდიდან

უკრაინაში დაპირისპირებული მხარეების მოსარიგებლად უკვე ევროპელი შუამავლები ჩადიან.

უმაღლესმა რადამ მთავრობის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა კაბინეტის წევრების გარეშე დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტში მიწვეულები იყვნენ, მინისტრები სხდომაზე არ გამოცხადდენენ. ოპოზიციამ კატეგორიულად მოითხოვა პრემიერ-მინისტრ აზაროვის და სხვა მინისტრების დასწრება და ამისთვის შესვენებაც გამოცხადდა. უკრაინის პარლამენტის შენობა ამ დროს ორმაგ რკალში იმყოფებოდა. მას იცავდნენ პოლიციის სპეცრაზმ „ბერკუტის" მებრძოლები, ამას გარდა მის გარშემო იდგა დამოუკიდებლობის მოედნიდან „მივლინებული" ათასობით დემონსტრანტი, რომელიც მთავრობის გადადგომას მოითხოვდა. ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა, ყოფილმა მოკრივემ ვიტალი კლიჩკომ აზაროვის პირადად გაცილების მზადყოფნაც გამოთქვა მთავრობის შენობიდან პარლამენტამდე, სულ 15 წუთის საავალზე, რომ შემთხვევით მინისტრები დემონსტრანტებს არ გაელახათ.

საბოლოოდ მთავრობის გადაგომას მხარი დაუჭირა მხოლოდ ოპოზიციამ და დამოუკიდებელი დეპუტატების მცირე ნაწილმა - სულ 186-მა კაცმა. მთავრობისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოცხადებას სჭირდება დეპუტატთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე ერთით მეტი, ანუ 226 ხმა. მმართველ „რეგიონების პარტიას" 204 დეპუტატი ჰყავს. უმრავლესობას ის ფლობს კომუნისტებთან და დამოუკიდებელი დეპუტატების ნაწილთან ერთად. საინტერესოა, რომ ათიოდე დღის წინ, როდესაც პატიმრების უცხოეთში მკურნალობის შესახებ კანონპროექტები იხილებოდა, ოპოზიციას დამოუკიდებელი დეპუტატებიდან 26-28 ადამიანი აძლევდა ხმას და 194-196 ხმა გროვდებოდა. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ნათქვამი ოფიციალური უარი ხელშეკრულებების ხელმოწერაზე. გუშინ კი ოპოზიციის მხარეს მხოლოდ 17 დამოუკიდებელი პარლამენტარი აღმოჩნდა. ეტყობა ამ მერყევმა ძალებმა ჯერ ვერ დაინახეს, რომ ძალა ოპოზიციის მხარეს გადმოდის.

პარლამენტის სხდომაზე პრემიერმა აზაროვმა კიდევ ერთხელ გაიმეორა ბოლო დღეებში უკვე რამდენჯერმე ნათქვამი, რომ უკრაინა ევროინტეგრაციაზე უარს არ ამბობს და პირობების შესათანხმებლად მოლაპარაკებები გაგრძელდება. მან თქვა, რომ პრეზიდენტ იანუკოვიჩს მისი თანდასწრებით ორშაბათს ვრცელი სატელეფონო საუბარი ჰქონდა ევროკომისიის პრეზიდენტთან ჯოზე მანუელ ბაროზუსთან. უკრაინული დელეგაცია ბრიუსელში უკვე მომავალ კვირაში მიემგზავრება. უკრაინის პრემიერმა სიტუაციის გართულებაში ბრალი დასდო ტიმოშენკოს მიერ გაფორმებულ კაბალურ „გაზის კონტრაქტს", რომლის ფასის გადახდაც უკრაინას უკვე აღარ შეუძლია. მან თქვა, რომ ყოვლთვიურად ზედმეტი 800 მილიონი დოლარის გადახდა შეუძლებელია.

აზაროვმა ილაპარაკა იმაზეც, რომ დემონსტრანტებთან შეტაკებების დროს ორი დღის განმავლობაში ძალოვანი სტრუქტურების 162 თანამშრომელი დაშავდა. თუმცა მან პირობა დადო, რომ მიტინგის სასტიკი დარბევის გარემოებებს გამოიძიებენ და დამნაშავეები დაისჯებიან.

უკვე პარლამენტის სხდომის შემდეგ „რეგიონალების" ფრაქციის ლიდერმა ალექსანდრ ეფრემოვმა ოპოზიციას მოლაპარაკებების გაგრძელება შესთავაზა. მისი სიტყვებით სერიოზული საკითხები წყდება არა მიტინგებზე, არამედ პროფესიონალების მიერ სამუშაო ატმოსფეროში.

„ბატკივშჩინას" ლიდერმა არსენი იაცენიუკმა მიტინგზე გამოსვლისას ხალხს მაქსიმალური მობილიზაციისკენ მოუწოდა და განაცხადა, რომ ოპოზოცა ამის შემდეგ უკვე პრეზიდენტ იანუკოვიჩისგან მოითხოვს მთავრობის დათხოვნას, ასევე რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნას.

მომიტინგეების ნაწილი დამოუკიდებლობის მოედნიდან დაიძრა და ალყაში მოაქცია პრეზიდენტის სამუშაო რეზიდენცია. მთავრობის შენობა ოპოზიციის აქტივისტებს უკვე ორშაბათიდან აქვთ ბლოკირებული. კიევში ღამე ტემპერატურა მიუსებზე ჩამოდის, მაგრამ ხალხი არ იშლება. მოედნებზე დგამენ რკინის კასრებს, რომელშიც ანთებენ ცეცხლს. ქალაქის მერიის და პროფკავშირების სასახლის გარდა ორშაბათ გვიან საღამოს მომიტინგეებმა დაიკავეს ოქტომბრის სასახლეც, დაცვის თანხმობით და იქ კიდევ ერთი ღამისგასათევი პუნქტი მოაწყვეს. ამ შენობებში მომიტინგეებს აქვთ დასვენების და ცხელი ჩაის დალევის საშუალება. ეს ყველაფერი ორგანიზებულია და შემოწირულების ხარჯზე დემონსტრტრანტებს უფასოდ კვებავენ.

უკრაინის პრეზიდენტ იანუკოვიჩს ჩინეთში წასვლამდე სატელეფონო საუბარი ჰქონდა პოლონეთის პრეზიდენტ ბრონისლავ კომოროვსკისთან. ამას გარდა პოლონეთის პრემიერმა დონალდ ტუსკმა განაცხადა, რომ უკრანის ევროინტეგრაციის საკითხებზე ელაპარაკა ბარუზუს, მერკელს, ოლანდს და სხვა კოლეგებსაც. ტუსკის თანახმად პოლონეთი არ დაიშურებს ძალისხმევას იმისთვის, რომ უკრაინასთან სამწლიანმა მუშაობამ ფუჭად არ ჩაიაროს.

გუშინ უკრანაში დაპირისპირებული მხარეების „მოსარიგებლად" ჩავიდა ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ტურბიორნ იაგლანდი.

ტაილანდში ხალხი სამთავრობო შენობებში შეუშვეს

ტაილანდში არსებული დაძაბული სიტუაცია სამშაბათს ნაწილობრივ ჩაწყნარდა და ამის მიზეზი გახდა კეთილი ნების ჟესტი მთავრობის მხრიდან. ხელისუფლებამ საპროტესტო აქციის მონაწილეები შეუშვა მთავრობის სახლში და პოლიციის ერთ-ერთ მთავარ შენობაში, რომლებში ძალით შეღწევასაც ისინი წინა დღეებში უშედეგოდ ცდილობდნენ.

ორშაბათს პოლიციის შენობის «მშვიდობიანი შტურმით» აღების მცდელობას მოჰყვა შეტაკება მანიფესტანტებსა და პოლიციას შორის. ამ უკანასკნელებმა გამოიყენეს ცრემლსადენი გაზი და რეზინის ტყვიები, თუმცა შეტაკების შედეგად მაინც დაიღუპა 4 ადამიანი და დაშავდა 119. სამშაბათს ქვეყნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა შეეწყვიტა დაპირისპირება და საპროტესტო აქციის მონაწილეებს დართეს დედაქალაქ ბანგკოკის პოლიციის შტაბბინაში, ასევე მთავრობის სახლში შესვლის უფლება, რომელშიც ქვეყნის პრემიერ-მინისტრის იინგლაკ ჩინავატის ოფისიც მდებარეობს. მიმდინარე გამოსვლების მთავარ მოთხოვნად კვლავ რჩება მოქმედი პრემიერის გადადგომა.

თავისებური ზავი ხელისუფლებასა მომიტინგეებს შორის გამოწვეულია ტაილანდის მეფის, პუმიპონ ადულიადეტის დაბადების დღის მოახლოებით, რაც ქვეყანაში ოფიციალური ზეიმია. მეფის დაბადების დღე 5 დეკემბერს არის. არ არის გამორიცხული, რომ ამ თარიღის შემდეგ ტაიანდში საპროტესტო აქციები განახლდეს. უფრო მეტიც, შესაძლოა ამ დაპირისპირებაში ჩარევა მოუწიოს არმიასაც.

სამშაბათს დილით სამართალდამცავებმა აიღეს ბეტონის ფილებითა და მავთულხლართით აგებული დროებითი ბარიერები ქალაქის პოლიციის შენობის წინ. უწყების ხელმძღვანელმა კამრონვიტ ტუპკრაჩანგმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ თუ დემონსტრანტები მოისურვებენ შენობის დაკავებას, სამართალდამცველები მათ ამაში ხელს არ შეუშლიან. მან აღნიშნა, რომ ოფისი ხალხს ეკუთვნის, ის «აშენებულია იმ ფულით, რომელიც მოქალაქეებმა გადასახადების სახით გადაიხადეს, შესაბამისად სურვილის შემთხვევაში ხალხს შეუძლია ის დაწვას კიდეც».

საპროტესტო აქციის მონაწილეებს შტაბბინის ტერიტორიაზე შესასვლელი გაუხსნეს უკვე დილის 10.40 საათზე, მაგრამ ოპოზიციონერები კიდევ დაახლოებით ერთი საათის განმავლობაში ამ უფლებით სარგებლობას ვერ ბედავდნენ, ალბათ სამართალდამცავების მხრიდან ხაფანგის დადების შიშით. შემდეგ ხალხი მაინც შევიდა შტაბბინის ტერიტორიაზე. ადგილობრივმა მედიასაშუალებებმა გამოაქვეყნეს ფოტოსურათები, რომლებზეც ოპოზიციონერები და პოლიციელები ერთმანეთს უღიმიან და ხელს ართმევენ.

მთავრობის სახლში შესვლის უფლება დემონსტრანტებს დღის მეორე ნახევარში მისცეს. ამ შენობის აღებასაც მომიტინგეები ბოლო ორი დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ. თუმცა ხელისუფლების წარმომადგენლებმა ოპოზიციონერები გააფრთხილეს, რომ სახელმწიფო ქონების გაფუჭებისთვის მათ პასუხისმგებლობა დაეკისრებოდათ. ამის შემდეგ მინისტრთა კაბინეტის შტურმი, ცხადია, შეწყდა და ოპოზიციის ლიდერებმა გამოაცხადეს, რომ მათ ხელისუფლებაზე გაიმარჯვეს.

თუმცა ტაილანდის ოფიციალური ხელისუფლება სულაც არ მიიჩნევს, რომ შექმნილ სიტუაციაში ისინი დამარცხებულები არიან. პრემიერ-მინისტრი იინგლაკ ჩინავატი ჩვეულებრივად აგრძელებს თავისი მოვალეობების შესრულებას. მაგალითად გუშინ ის გაფრინდა ქალაქ ხუახინში, სადაც მიმდინარეობს ტაილანდის მეფის, პუმიპონ ადულიადეტის 86 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების რეპეტიცია.

სამშაბათს დილიდან ბანგკოკის თავზე დაფრინავდა ვერტმფრენი, რომლიდანაც ყრიდნენ პროკლამაციებს. მათში პოლიცია ხალხს ატყობინებს, რომ ოპოზიციის ლიდერზე სუტეპ ტაუკსუბანზე გამოცხადებულია ძებნა სახელმწიფო გადატრიალების მზადების ბრალდებით. ამ «საინფორმაციო ბარათებში» ხალხს მოუწოდებენ შორს დაიჭირონ თავი ოპოზიციის ამ ლიდერისგან და აგრეთვე უკანონო შეკრებებისგან. ბანგკოკის სასამართლომ წინა კვირის დასაწყისშიც გასცა სუტეპ ტაუკსუბანის დაპატიმრების ორდერი, მაგრამ ნაკლებად სერიოზული ბრალდებით - სახელმწიფო დაწესებულებების შენობების ხელში ჩაგდება. თუმცა ამ ორდერის არსებობის მიუხედვად მისი დაპატიმრების მცდელობა არ ყოფილა. ამ ახალი ბრალდების თანახმად მას შეიძლება მიუსაჯონ ან სამუდამო პატიმრობა, ან სიკვდილიც კი. ტაუკსუბანის მომხრეებმა უკვე განაცხადეს, რომ მზად არიან დაიცვან თავისი ლიდერი, თუ პოლიცია მის დაპატიმრებას გადაწყვეტს.

მთავრობისა და ოპოზიციის დაპირისპირებაში შესაძლოა სამხედროებიც ჩაერიონ, რომლებიც აქამდე ცდილობდნენ ნეიტრალური პოზიცია შეენარჩუნებინათ. სახალხო გამოსვლებისა და არეულობების ერთი თვის შემდეგ ტაილანდის შეიარაღებული ძალების სარდალმა ტანასაკ პატიმაპრაკორნმა განაცხადა, რომ სამხედროების ხელმძღვანელობა გეგმავს სპეციალური თათბირის გამართვას, რომლზეც განიხილავენ ქვეყანაში შექმნილ სიტუაციასა და კრიზისიდან გამოსვლის გზებს. ეს სხდომა ჩატარდება მეფის დაბადების დღის შემდეგ.

მოამზადა ივა შილაკაძემ

სეფა

პირველი გვერდიდან

„კომა“

„დიდებული მშვენიერება“

თუ პირველ ფილმში კოლუაშვილი კონკრეტული სოციუმის თემას შლის, „შემთხვევით პაემნებში“ მთლიანი საზოგადოების ერთგვარ მიკრომოდელს გვთავაზობს და ხელის გულზე გვიშლის ყველა იმ პრობლემას, რომლებიც ნებისმიერ ჩვენგანს, ყველაზე შემდგარ ან ლუზერ ადამიანს შეიძლება ახლდეს. „შემთხვევითი პაემნები“ სწორედ ის ფილმია, რომლის ყურებისასაც ყველაზე ხშირად გინდება თვალების დახუჭვა, სმენის დახშობა, არ გინდა იმაზე ფიქრიც კი, რასაც ეკრანზე ხედავ, რადგან სწორედ შენ ხარ ეს 40 წლის საქმესა და პირად ცხოვრებაში შეუმდგარი ადამიანი, სწორედ შენ ცხოვრობ მშობლებთან და იმის შნოც არ გაქვს, საჭმელი თეფშზე გადმოიღო. ჭამაც არ შეგიძლია, რადგან ამ დროს ორივე მშობელი თავზე გადგას და სულს გიხუთავენ. არადა მათ შენთვის მხოლოდ კარგი უნდათ, სურთ გყავდეს ლამაზი ცოლი, შვილები, საკუთარი ოჯახი, საკუთარი ცხოვრება, არ იყო აყოლილი შენსავით დინებაზე მიყოლილ ძმაკაცს, რომელიც სწორედ მაშინ აგაცლის გემრიელ ლუკმას, როდესაც ეს ლუკმა კარგად გადაღეჭელი და მოსანებელად გაქვს გამზადებული.

ფილმი თითქოს ერთი სანდროს გარშემო ტრიალებს, მაგრამ სცენარი მხოლოდ მის ნაკვალევს არ მიუყვება. სანდრო ერთი ჩვეულებრივი კვირის განმავლობაში პრაქტიკულად ყველაფერს იღებს: ინტერნეტით გაცნობილ ქალთან შეხვედრის გამოცდილებას, არღვევს მშობლებისთვის მიცემულ პირობას, ცეკვავს წვიმის ქვეშ, კოცნის სხვის ცოლს, იწყებს შეყვარებას და სწორედ მაშინ, როდესაც მისი სხეული ჯერ კიდევ თბილია, ყველაფერი ნგრევას იწყებს ანუ იმავე კალაპოტში ბრუნდება, რომლის ყოველი მილიმეტრიც სანდროსთვის ძალიან ნაცნობია.

სანდროს სამყაროს ვახო ჩაჩანიძის შესანიშნავი პერსონაჟი, ყოფილი პატიმარი თენგო ანგრევს, თუმცა მისი სამყარო უფრო მყიფეა, სწორედ ისეთი, როგორმაც ადვილად შეიძლება ჩაგიყოლოს ან თავად ჩაჰყვე. რეჟისორი სწორედ თენგოს ავალებს მთავარი სათქმელის გაშლას, თუნდაც პანაშვიდის სცენაში, როდესაც, ერთი შეხედვით, ფილმის ყველაზე მარგინალი პერსონაჟი ყველაზე დიდ სიმართლეს გვეუბნება - რა გვინდა რესტორანში, როდესაც არსებობს სეფა, სადაც თავს გაცილებით მშობლიურად ვიგრძნობთ. და ყველა თანხმდება, რომ სეფა სჯობს...

„შემთხვევითი პაემნების“ მთავარი ქულა ლევან კოლუაშვილისა და ბორის ფრუმინის მოზაიკასავით აწყობილ სცენარზე მოდის, შემდეგი მსახიობებზე (ერთი ორი გამონაკლისის გარდა), ტატო კოტეტიშვილის ოპერატორულ ნამუშევარზე და, ცხადია, რეჟისურაზე, რაც ისედაც არ იწვევდა ეჭვს.

„შემთხვევითი პაემნები“ ჯერ კიდევ განაგრძობს საერთაშორისო კინოფესტივალებზე მოგზაურობას, ჩვენი მაყურებელი კი მის ნახვას, სავარაუდოდ, გაზაფხულზე შეძლებს.

ჩვენს გაქირავებაში კი აღარასდროს გამოვა პაოლო სორენტინოს „დიდებული სილამაზე“, მართლაც დიდებული ფილმი დიდებულების შირმის მიღმა მიჩურთულ დაკარგულ სილამაზეზე. იტალიელი მაღალი საზოგადოების რამდენიმე ბომონდური წარმომადგენლის ირგვლივ გაშლილი ფილმი მსოფლიოს ალბათ ყველა ქვეყანაში არსებულ მანკიერებას ამზეურებს, ყოველი სცენის შემდეგ კი მაყურებელი ამ დანაკარგის ჭირისუფალი ხდება. ფილმი ხმაურიანი, ბრწყინვალე და აღვირახსნილი წვეულებით იწყება. მისი ყველა სტუმარი ყურებამდე ბედნიერია, შამპანურში ბანაობს, კოცნიან ლამაზ ქალებს და წელსზემოთ შიშველ ახალგაზრდა ბიჭებს, კოცნიან იუბილარსაც, რომელიც დღეს 65 წლის გახდა და რომელიც ფიქრობს, რომ სწორედ ახლა დაიწყებს ახალ ცხოვრებას, სინამდვილეში კი ლურჯი ზღვაც, მცხუნვარე მზეც და მხოლოდ მის მეხსიერებაში შემორჩენილი გოგონაც დიდი ხანია მოკვდნენ. ფილმი აუცილებლად მოგაგონებთ ფელინის „8 1/2“-ს“, მაგრამ ეს მაინც სულ სხვა ფილმია, 65 წლის გვიდო ანსელმის ისტორიაა.

გუშინ საკონკურსო ფილმების ჩვენებაც დაიწყო. ვნახეთ არჩილ ქავთარაძის „კომა“, ფილმი, რომლის გაქირავებამაც რამდენიმე თვის წინ ემოციური მღელვარებისა და პოლიტიკური ხასიათის ფონზერ ჩაიარა. აჩვენეს მარია სააკიანის ასევე საკონკურსო „ეს მე არ ვარ“. საკონკურსო ფილმების ჩვენება მომდევნო დღეებშიც გაგრძელდება, პროგრამას კი ფესტივალის საიტზე გაეცნობით (tbilisifilmfestival.ge).

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი ფესტივალის სტუმარი ქვეყანა ფინეთია, გუშინ კი ამ სექციის ფილმი „კარგი ვაჟიშვილი“ ვნახეთ (რეჟისორი ზაიდა ბერგოთი). ფილმი მართლაც კარგ ვაჟიშვილზეა, ზოგჯერ ზედმეტად კარგზე, მომაბეზრებლად კარგზე, სახიფათოდ კარგზე. ილმარი ცნობილი მსახიობის მოზარდი ვაჟია, რომელსაც დედის შუბლზე აღბეჭდილი იარა არასდროს ავიწყებს, რომ მის ცხოვრებაში მოძალადე მამაკაცები ჩნდებიან, იარას ტოვებენ, შემდეგ კი უკვალოდ იკარგებიან. ეს ახსოვს ლეილასაც, რომელიც შვილის მსგავსად ყველა მამაკაცში აგრესორს ხედავს და მცირედი ეჭვის შემთხვევაშიც კი მზადაა განგაში ატეხოს. მამაკაციც და შვილიც მისგან მხოლოდ სიყვარულს მოითხოვენ, თუმცა ეს სიყვარული აუცილებლად მხოლოდ მათი უნდა იყოს და არა ვინმესთან განაწილებული. ლეილა ამას ვერ ახერხებს, სამაგიეროდ ახერხებს ილმარი, რომელსაც დედისთვის სიყვარულის დამტკიცების საკუთარი მეთოდები გააჩნია. ფილმია თითქოს კარგია, მაგრამ „დავარცხნილი“ ფინეთისგან ასეთი ისტორიის მიღება იმდენად არ გსურს, რომ ეს ყველაფერი ცოტა ბავშვური თამაშიც კი გგონია.

დღეს კინოფესტივალი კვლავ 12 საათიდან განახლდება. ვნახავთ ფელიქს ვან გროენინგენის „გაწყვეტილ წრეს“, ემირ ბაიგაზინის „ჰარმონიის გაკვეთილებს“, ანდრეა პალაოროს საკონკურსო „მედეას“, ილმარ რააგის ფილმს „სიყვარული ბრმაა“ და სხვა. ასევე გაიმართება ოპერატორ ანდრაშ ნაგისა და რეჟისორ მაიკლ ჰოფმანის მასტერკლასები.

თოჯინების „ოდისეა„ ბრიტანეთიდან საქართველოში

ბრიტანეთის საბჭოსა და აჭარის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ერთობლივი ძალისხმევის შედეგად 5-7 დეკემბერს ბათუმში ინოვაციური ბრიტანული დასის The Paper Cinema სპექტაკლები გაიმართება.კომპანია The Paper Cinema 2004 წელს დააარსეს ნიკოლას როულინგმა, იმოჯენ ჩარლსტონმა და კრისტოფერ რიდმა. კომპანია თავისთავად- მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ შემოქმედებას აცნობს მაყურებელს როგორც დიდ ბრიტანეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ბათუმელი მაყურებელი და ქალაქის სტუმრები იხილავენ თანამედროვე, არაორდინალური კომპანიის ფეიფერ სინემასა და ბათერსი არტ ცენტრის ერთობლივი პროექტით კიდევ ერთხელ გაცოცხლებულ ოდისეას“ ჰომეროსის მარად უკვდავი მემკვიდრეობიდან, გადმოცემულს ლამაზი ილუსტრაციების, ცოცხალი მუსიკის და თოჯინების ოსტატური გამოყენების საშუალებით.

ოდისეა“ არის კინემატოგრაფიული პროექციისა და გარდასახვის ხელოვნების არაჩვეულებრივი სინთეზი, ვინადიან ქაღალდისგან გამოჭრილი თოჯინებით სავსე ჩემოდანი სცენაზევე გარდაქმნება ცოცხალ პერსონაჟებად და ულამაზეს პეიზაჟებად. ამასთანავე, თქვენს თვალწინ იქმნება მუნჯი კინო, რომლის ილუსტრაციასაც ბრწყინვალე მუსიკოსების მიერ ცოცხლად შესრულებული მუსიკა ახდენს, რომელიც სპექტაკლის ორგანული ნაწილია.

დასი იყენებს ანიმაციის, მუსიკის, კინოსა და თეატრის ენას, რათა მაყურებელს მოუთხროს ისტორიები. კალმითა და მელნით ოსტატურად შესრულებული ილუსტრაციების მანიპულირება ხდება რეალურ დროში - ცოცხლად, ვიდეოკამერის მიერ და პროექცირდება დიდ ეკრანზე. ეს ყოველივე ხდება ცოხცლად შესრულებული მუსიკის თანხლებით.

კომპანიის მოწვევა გადაწყდა ბრიტანეთის საბჭოსა და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი თეატრალური პარტნიორობის პროექტის ფარგლებში, რომლის განხორციელება 2012 წელს დაიწყო ურთიერთშეთანხმების მემორანდუმის გაფორმების საფუძველზე. ორივე მხარე იმედოვნებს, რომ ეს თანამშრომლობა ემსახურება საერთო მიზანს - საქართველოს, კერძოდ აჭარის და დიდი ბრიტანეთის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების გაცნობას, უშუალო და პირდაპირ თანამშრომლობას კულტურისა და ხელოვნების სფეროში, რაც მთავარია, თეატრალური ხელოვნების განვითარებას და ახალი კოპროდუქციების შექმნას.

კომპანიას არაჩვეულებრივი გამოხმაურება აქვს პრესაშიც. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს:

უზარმაზარი ოსტატობა... აშკარად ეფექტური“ (TIMES), დახვეწილად შესრულებული სპექტაკლი, რომელიც აუცილებლად აღგაფრთოვანებთ“ (TELEGRAPH), ეპიკური, გამომგონებლური თავგადასავალი“ (TIME OUT) ჰომეროსის ისტორიის ოსტატური გადამუშავება“ (ლინ გარდნერი, THE GUARDIAN), აცოცხლებს ამბავს ისე საინტერესოდ, რომ გახსენედებათ თუ მართლაც რა კარგია ის“ (სალი სკოტი, The Scotsman).

ბრიტანეთის საბჭო - დიდი ბრიტანეთის წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაცია - ხელს უწყობს თანამშრომლობას სხვა ქვეყნებთან კულტურისა და განათლების სფეროებში. მისი მოქმედების არეალი 110 ქვეყანას მოიცავს. ბრიტანეთის საბჭო ხელს უწყობს ურთიერთობებისა და თანამშრომლობის განვითარებას სხვა ქვეყნებთან სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს შორის ურთიერთნდობის ამაღლებისა და ბრიტანული იდეებისა და მიღწევების პოპულარიზაციის მიზნით. ბრიტანეთის საბჭო არის დამოუკიდებელი, აპოლიტიკური ორგანიზაცია. www.britishcouncil.org

ნოდარ ხადური საახალწლოდ პროდუქტებზე ფასების მკვეთრ ზრდას გამორიცხავს

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური საახალწლოდ პროდუქტებზე ფასების მკვეთრ ზრდას გამორიცხავს.

როგორც ნოდარ ხადურმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, სახელმწიფო ფასების ზრდას არც საკვებზე და არც სხვა დანარჩენ პროდუქტებზე არ ელოდება. მისი თქმით, ბოლო 2-3 წლის განმავლობაში საქართველოში ინფლაცია საერთოდ არ დაფიქსირებულა.

რაც შეეხება ლარის კურსს, მინისტრის განმარტებით, ჩვეულებრივი მოვლენაა, როდესაც ლარზე მოთხოვნა იზრდება, ლარი მყარდება, ხოლო როდესაც მოთხოვნა დოლარზე იზრდება, დოლარის ფასი იცვლება.

ნოდარ ხადურის განცხადებით, ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა და ამაში საპანიკო და საგანგაშო არაფერია.

ფინანსთა მინისტრი ირწმუნება, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს გააჩნია შესაბამისი რეზერვები, მათ შორის უცხოურ ვალუტაში, რათა კურსი არ იყოს „მხტომარე“.

ქუთაისელმა „პატრიოტებმა" ქუთაისის საკრებულოში უმრავლესობა დაკარგეს

ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია «პატრიოტების» ხუთმა დეპუტატმა ფრაქციის რიგები დატოვა. ფრაქციიდან წამოსვლის შესახებ დეპუტატები, ამ წუთებში, მიმდინარე ბრიფინგზე საუბრობენ.

შეგახსენებთ, რომ «პატრიოტების» 12 კაციან ფრაქციას ქუთაისის საკრებულოში უმრავლესობა ჰქონდა. ფრაქციის დაშლა კი, უშიშროების მიერ «პატრიოტების» დაშინებას უკავშირდება.

ხადური: „ისიც კი არ ვიცით, სად არის ეს ჩამორთმეული ქონება“

„მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის ჩამოყალიბების საკითხზე პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა დღეს საღამოს გაიმართება," - თქვა ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა პრესკონფერენციაზე. მინისტრმა შეხვედრის ადგილისა და ზუსტი დროის დასახელებისგან თავი შეიკავა.

ნოდარ ხადურის თქმით, ამ საკითხის შესახებ მთავრობაში აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს, მაგრამ მსჯელობა ფინანსური საკითხების შესახებ მიმდინარეობს. მინისტრის მტკიცებით, ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესი გრძელდება.

რაც შეეხება ქონებაჩამორთმეული ბიზნესმენების საკითხს, როგორც ხადური ამბობს, 2014 წლის ბიუჯეტის პროექტი ამ მიმართულებით კომპენსაციის გაცემას არ ითვალისწინებს.

„ჩვენ ისიც კი არ ვიცით, ზოგადად რის შესახებ არის საუბარი, ან სად არის ეს ჩამორთმეული ქონება, ყველაფერს დეტალური გაანალიზება სჭირდება. ზეპირი განცხადებების გაკეთება ადვილია, მაგრამ ამის უკან კონკრეტული ქმედებები უნდა იყოს. ჯერჯერობით არანაირი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული არ არის და ამ საკითხის შესასწავლად მუშაობა გრძელდება," - ამბობს ნოდარ ხადური.

საქართველომ სუამ-ის თავმჯდომარეობა მოლდოვეთს გადასცა

სუამ-ის თავმჯდომარეობა საქართველომ როტაციის გზით მოლდავეთს გადასცა. გუშინ ოფიციალურმა თბილისმა დემოკრატიული და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის ხელმძღვანელის რანგში ბოლო ღონისძიებას უმასპინძლა. სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის პლენარულ სხდომაზე გაერთიანების მუშაობა შეაჯამეს და

შიდა დოკუმენტი - კომუნიკე მიიღეს. მასში ორგანიზაციის სამომავლო თანამშრომლობის გეგმებია მოცემულია. ამასთან, ასამბლეის წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე არსებული კონფლიქტებია შეფასებული. როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, კონფლიქტები საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ სუამ-ის წევრი სახელმწიფოების, არამედ მთელი ევროპის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.

კომუნიკეში სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეა ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების დაურღვევლობის პრინციპებისადმი ერთგულებას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

კომუნიკეში ცალკე პუნქტი ეთმობა საქართველოს საკითხს, რომელშიც საქართველოს ტერიტორიაზე უკანონო ქმედებები და მავთულხლართების გავლება დაგმობილია. „საპარლამენტო ასამბლეა მხარს უჭერს წევრი სახელმწიფოების ძალისხმევას, რომელიც საერთაშორისო პრინციპებისა და სამართლის ნორმების შესაბამისად, კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირებისკენ არის მიმართული. საპარლამენტო ასამბლეა აგრესიული სეპარატიზმისა და ოკუპაციის ლეგიტიმაციისკენ მიმართული მოქმედებების გამო (ოკუპირებულ ტერიტორიებზე ოფიციალური პირების კანონსაწინააღმდეგო ვიზიტები; სეპარატისტთა ლიდერების სტუმრობა სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქებში; უკანონო ეკონომიკური საქმიანობა კონფლიქტის რეგიონებში და ოკუპირებულ ტერიტორიაზე; ხელოვნური ბარიერების და მავთულხლართების აღმართვა საქართველოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების საოკუპაციო ხაზზე) წუხილს გამოთქვამს. ასამბლეა შესაბამის მხარეებს საერთაშორისო ნორმებთან და საერთაშორისო სამართლით ნაკისრ ვალდებულებებთან შეუთავსებელი ქმედებების აღსაკვეთად ზომების მიღებისკენ მოუწოდებს," - ნათქვამია კომუნიკეში.

კიდევ ერთი აქტუალური თემა, რომელიც კომუნიკეშია ასახული, წევრი ქვეყნების სუვერენულ უფლებას ეხება. როგორც დოკუმენტშია ნათქვამი, სახელმწიფოები საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებს თავად უნდა ირჩევდნენ და ამ მიმართულებით ნებისმიერი ზეწოლა მიუღებელია. „საპარლამენტო ასამბლეა შესაბამის მხარეებს საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების სრული დაცვისკენ, სუვერენიტეტის პრინციპების პატივისცემისა და შიდა საქმეებში ჩაურევლობისკენ მოუწოდებს. საპარლამენტო ასამბლეა ვილნიუსის სამიტის შემდგომ პერიოდში სუამ-ის წევრ სახელმწიფოებსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავს," - მითითებილია კომუნიკეში.

ასამბლეის პლენარულ სხდომაზე, აგრეთვე მიიღეს საერთაშორისო ფორმატის განცხადება, რომელსაც ბალტიისპირეთის ქვეყნების და პოლონეთის საპარლამენტო დელეგაციები შეუერთდნენ. განცხადება კომუნიკეში ასახულ პოლიტიკურ შეფასებებს იზიარებს. განცხადებაში ბალტიის ასამბლეასთან თანამშრომლობის გეგმებიც არის მოცემული. პარლამენტართა შეფასებით, მას სუამ-ის თანამშრომლობა თვისობრივად ახალ ეტაპზე (კონკრეტული კომიტეტებისა და კომისიების დონეზე) გადაჰყავს.

სხდომის დასრულების შემდეგ სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარემ, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზურაბ აბაშიძემ და ასამბლეის მომავალმა თავმჯდომარემ, მოლდავეთის საპარლამენტო დელეგაციის ხელმძღვანელმა ანატოლიე დიმიტრიუმ პრესკონფერენცია გამართეს.

«სუამის წევრი სახელმწიფოების, ასევე ბალტიის ასამბლეის სამივე ქვეყნისა და პოლონეთის წარმომადგენელთა გაერთიანებული განცხადების პათოსია, რომ სუამ-ის წევრი სახელმწიფოები თავად გადაწყვეტენ რა მიმართულებით უნდა წავიდნენ. ჩვენ ამით კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ ის პრობლემები, რომელიც სუამის ქვეყნებს აქვთ, მოგვარდება. დოკუმენტში ნათქვამია, რომ უკრაინა, საქართველო და მოლდავეთი, ასევე აზერბაიჯანი ევროკავშირის ერთგულ ქვეყნებად რჩებიან. კომუნიკეში, ასევე აღნიშნულია, რომ არცერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს მათ საქმიანობაში და სუამ-ის ასამბლეის სახელმწიფოები თავად გადაწყვეტენ რა მიმართულებით უნდა წავიდნენ", - თქვა ზურაბ აბაშიძემ.

ვიცე-სპიკერის თქმით, სუამ-ის წევრი ქვეყნები იმ კონფლიქტებში, რომელიც აზერბაიჯანის, საქართველოს და მოლდავეთის ტერიტორიაზეა, უცხო სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების არსებობას გმობენ.

ანატოლიე დიმიტრიუს შეფასებით, გაყინული კონფლიქტები უსიამოვნო თემას წარმოადგენს, თუმცა სუამ-ის წევრი ქვეყნები დიალოგის გამართვას მაინც ცდილობენ.

რაც შეეხება ევროინტეგრაციის საკითხს, როგორც დიმიტრიუ ამბობს, 2014 წელი ევროპასთან ურთიერთობების და ევროინტეგრაციის თვალსაზრისით სუამ-ის წევრი სახელმწიფოებისთვის განმსაზღვრელი იქნება. მან იმედი გამოთქვა, რომ ყველა წევრ ქვეყანას ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობისა და უვიზო რეჟიმის საკითხზე შესაბამისი მიღწევები ექნება. „სუამ-ის მონაწილეთა ძალა ჩვენს ერთობაშია," - დასძენს დიმიტრუ.

ევროპასთან ურთიერთობების შესახებ საუბრობს აზერბაიჯანის მილი მეჯლისის ვიცე-სპიკერი ზაიფატ ასკეროვი. მისი თქმით, აზერბაიჯანი ევროკავშირთან „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ფარგლებში თანამშრომლობს და მისმა ქვეყანამ ვილნიუსში სავიზო რეჟიმის გამარტივების დოკუმენტს ხელი მოაწერა. ასკეროვმა იმედი გამოთქვა, რომ სუამ-სა და ევროპას შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

ზაიფატ ასკეროვი განსაკუთრებულ ყურადღებას მთიანი ყარაბაღის კონფლიქტზე ამახვილებს. „მთიან ყარაბაღში აზერბაიჯანის სუვერენიტეტი უნდა აღდგეს. ეს გაერო-ს 4 რეზოლუციაშია ნახსენები. დღეს აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სომხური ოკუპაცია გრძელდება. სომხეთმა ამას წერტილი უნდა დაუსვას და დევნილები საკუთარ სახლებში უნდა დაბრუნდნენ. ყარაბაღში, ვინც არაოფიციალური ვიზიტით ჩავა, ოფიციალური ბაქოსთვის პერსონა ნონ გრატა იქნება," - ამბობს ასკეროვი.

სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის კომუნიკეს მიესალმება საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. როგორც მარგველაშვილის განცხადებაშია ნათქვამი, კომუნიკე სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის, სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვევობის პრინციპებისადმი ერთგულებას ადასტურებს და კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების კუთხით,

წევრი სახელმწიფოების ძალისხმევას მხარს უჭერს. „ოკუპაცია, ახალი ბარიერების აღმართვა და სეპარატიზმის მხარდაჭერა 21-ე საუკუნეში სრულიად მიუღებელია. ამიტომაც, სადავო და მტკივნეული საკითხის მოლაპარაკებების გზით დარეგულირებისათვის ნებისმიერი საერთაშორისო ძალისხმევის გაძლიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სახელმწიფოთა სუვერენული უფლებაა საკუთარი მომავალი და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები თავად განსაზღვრონ. ამ მხრივ, მათზე ზეწოლა სრულიად დაუშვებელია. კიდევ ერთხელ მივესალმებით სუამის საპარლამენტო ასამბლეის სხდომის მონაწილეებს და ვადასტურებთ მხარდაჭერას იმ ინიციატივებისადმი, რომლებიც თანამშრომლობის გაღმავებისა და მშვიდობის განმტკიცებისკენ არის მიმართული," - ნათქვამია პრეზიდენტის განცხადებაში.

2014 წელს სუამ-ის საპარლამენტო ასამბლეის სხდომა უკვე კიშინიოვში ჩატარდება.

საკუთარი ინფორმაცია

წყალბურთელების წინასასამართლო სხდომა 16 დეკემბრისთვის გადაიდო

მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძის სახელზე ჩანიშნული რამდენიმე პროცესის გამო, ციხის ყოფილი დირექტორის ლაშა ბრეგვაძის ცემისთვის ბრალდებული წყალბურთელების წინასასამართლო სხდომა 16 დეკემბრისთვის გადაიდო.

გუშინდელ პროცესზე მხარეებმა შუამდგომლობების ნაწილი წარადგინეს. დაცვის მხარემ ბრალდების მტკიცებულებების დაუშვებლობა მოითხოვა - მტკიცებულების დასაშვებობაზე გადაწყვეტილებას მოსამართლე 16 დეკემბერს ჩანიშნულ პროცესზე მიიღებს.

ამასთან, გუშინდელ პროცესზე დაცვის მხარის ადვოკატებს უნდა დაეყენებინათ შუამდგომლობა ბრალდებული გიორგი ჩხეიძისთვის, გიორგი გუდაძისა და ლევან კვარაცხელიასთვის აღმკვეთი ღონისძიების გირაოთი შეცვლის შესახებ. თუმცა აღნიშნული შუამდგომლობის დაყენება ვერ მოესწრო და ადვოკატები ბრალდებულების გირაოთი გათავისუფლებას, შემდგომ პროცესზე მოითხოვენ.

გარდა ამისა, დაცვის მხარე გეგმავს დააყენოს შუამდგომლობა წარდგენილი საბრალდებო მუხლის დაკვალიფიცირებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ბრალდებულის გიორგი ჩხეიძის ადვოკატის ეკა სურგულაძის განცხადებით, იგი დააყენებს შუამდგომლობას, რომ წარდგენილი 126-ე მუხლი შეიცვალოს 120-ე მუხლით, რომელიც ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. აღნიშნულ შუამდგომლობას დაცვის მხარის ადვოკატები იმ მოტივით აყენებენ, რომ პროკურატურამ წარადგინა პროცესზე დასკვნა, რომლის მიხედვითაც, ნაცემ ლაშა ბრეგვაძეს მსუბუქი დაზიანებები ჰქონდა მიყენებული.

ადვოკატები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული დასკვნის შედეგიდან გამომდინარე, ბრალდებულებისთვის წარდგენილი მუხლი შედარებით მძიმეა. საქმის პროკურორის დავით ხვედელიძის განცხადებით კი, ბრალდების მხარე მუხლის დაკვალიფიცირებას არ გეგმავს. ხვედელიძემ განმარტა, რომ აღნიშნული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის დადების შემდეგ, პროკურატურამ საქმე სასამართლოში უკვე შეიტანა.

„არ მომხდარა მუხლის კვალიფიკაციის შეცვლა და საქმე იგივე კვალიფიკაციით არის წარდგენილი სასამართლოში. სწორედ ამ დასკვნის შემდეგ წარმოვადგინეთ საქმე“, - განაცხადა დავით ხვედელიძემ.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ წინასასამართლო სხდომა მოსამართლის მოუცლელობის გამო დაგვიანებით დაიწყო - მოსამართლე ქეთევან ჯაჭვაძე სხვა პროცესზე იმყოფებოდა. გარდა ამისა, დაკავებულების ახლობლების განცხადებით, პარალელურად პროცესის შეფერხების მიზეზი ისიც გახდა, რომ ბრალდებულების სასამართლოში ბადრაგირება არ მომხდარა.

ადვოკატ ეკა სურგულაძის განმარტებით, სასამართლოს გააჩნდა ოქმი, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულები წინააღმდეგნი იყვნენ პროცესზე დასწრების. თუმცა, როგორც ადვოკატი აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი გიორგი ჩხეიძე პროცესის დაწყებამდე დაუკავშირდა და უთხრა, რომ პროცესში მონაწილეობა სურდა. ადვოკატი მიიჩნევს, რომ გაუგებარია რატომ არ ხდებოდა რეალურად ბრალდებულების სასამართლოში ბადრაგირება.

ამასთან, გუშინ, ბრალდებული წყალბურთელების ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა საქალაქო სასამართლოსთან აქციას გამართეს.

აქციის მოთხოვნა, წაყენებული ბრალდების მუხლის შედარებით მსუბუქი მუხლით დაკვალიფიცირება იყო.

კერძოდ, გიორგი გუდაძე, ლევან კვარაცხელია და გიორგი ჩხეიძე დაკავებულები არიან ლაშა ბრეგვაძის ცემის ფაქტზე და ბრალად წაყენებული აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლი, რაც ძალადობას გულისხმობს. თუმცა, ახლობლების განცხადებით, ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი ექსპერტიზის დასკვნაში წერია, რომ ლაშა ბრეგვაძეს მსუბუქი დაზიანებები აქვს მიყენებული. აქედან გამომდინარე,აქციის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ 126-ე მუხლი, რომელიც ძალადობას გულისხმობს შეიცვალოს 125-ე მუხლით, რაც გულისხმობს ცემას. შედარებით მსუბუქი მუხლით ბრალდების დაკვალიფიცირების შემთხვევაში, ახლობლები დაკავებულებისათვის აღმკვეთი ღონისძიების უფრო მსუბუქი ფორმით გამოყენებას მოთხოვნას აპირებენ.

შეგახსენებთ, რომ გავრცელებული ინფორმაციით, ლაშა ბრეგვაძე არაყიშვილის ქუჩაზე ერთ-ერთი დაკავებულის ლევან კვარაცხელიას სახლში 12 ოქტომბერს სცემეს. სამ წყალბურთელს მისი ცემის ფაქტზე აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა 16 ოქტომბერს შეუფარდეს. ლაშა ბრეგვაძე ყოფილი წყალბურთელია და დაკავებულები მისი ნაცნობები არიან.

თელავის მგზავრები

ზურა თალაკვაძე

„მგზავრებისა“ და „თელავის“ თამაში

სამოყვარულო ლიგა აზრზე მოდის. გუნდები უკეთ შედიან ტურნირში, ხედავენ სხვების კოზირებს, იმახსოვრებენ ნიუანსებს, ამ ნიუანსებით მეტის გაკეთებას გეგმავენ. სამი-ოთხი თამაშის შემდეგ გუნდებმა ნორმალური დატვირთვა მიიღეს. ბებრები ნელ, უემოციო კალათბურთს აცოცხლებენ და მეტის გაკეთებას ცდილობენ. ცოტა ახალგაზრდები ცოტა უკეთ არიან მომზადებული და ცოტა ახალგაზრდებმა ნაკლები შეცდომა უნდა დაუშვან. რეალურად, ვერც ერთი მოყვარული ვერ აუხსნის ვატო ნაცვლიშვილს, როგორ უნდა ამოვიდეს ბლოკიდან, როგორ უნდა დააზღვიოს თანაგუნდელი, როგორ უნდა მიიღოს ბურთი მაქსიმალურად კარგ სასროლ სიტუაციაში. ვატომ ეს იცის და ეს თითქმის ყველა ყოფილმა „პროფიმ“ დაიმახსოვრა. და ყველა ვერ იგებს. „თბილისი 2015“, სადაც არის ვატო, სადაც არის გიგი ნაცვლიშვილი, სადაც არის მამუკა ტურაშვილი და სადაც ჩვენი კალათბურთის რობერტ ორი - ამბროსი ორმოცაძე დარბის, აგებს და იმ წაგების ახსნაც შეიძლება. „თბილისს“ ძველებმა, ირაკლი მაისურაძემ, გულიევერ ახალკაცმა, ვანო მაისურაძემ მოუგეს. და ის თამაში „თბილისმა“ 36:58 „მართვესთან“ დატოვა. იმ თამაშში მოიგო უკეთესმა და უკეთესები ფლეი ოფშიც შევლენ. იქ უკვე ნაკლები შეცდომით მოიგებ. ან საერთოდ ვერ მოიგებ და გაგაგდებენ. ქაღალდზე ყველაფერი საინტერესოდ წავიდა და უინტერესოდ დამთავრდა. „თბილისი“ ალბათ თამაშის ხარისხს გააუმჯობესებს. უნდა გააუმჯობესოს.

იქვე აკეთებს საქმეს გუნდი, რომელზეც უკვე დავწერეთ, რომელზეც უკვე ვისაუბრეთ და რომელიც უემოციოდ, კლასით იგებს და ამასობაში მოთამაშეებს ასვენებს. ეს გუნდი, მასმედიისა და „ჰიუნდაის“ მიქსტთან ერთად, ტურნირის ფავორიტია და ამ გუნდმა თამაში იცის. ძნელია ვერ გაიგო ელემენტარული თემები, როდესაც შემადგენლობაში გყავს კოტე ტულუში, გიორგი გაგნიძე, გიორგი მარკოიშვილი, ლაშა ლოსაბერიძე, ბუბა ბერიშვილი და ამერიკიდან დაბრუნებული შიო ხეცურიანი. და გუნდი იგებს. „მგზავრები“. ძალიან კარგი, სტაბილური შემადგენლობა. იქვე, მეხუთე ნომერზე, დგას ვეტერანი, რომელიც იტალიის ნაკრებთან იღლებოდა. ცენტრი ირაკლი ჯაფარიძეა. ირაკლისთან ერთად მეხუთე ნომერზე ადის დავით ღლონტი. გუნდის კაპიტანი ისევ დავით ცერცვაძეა. შეიძლება უცებ ყველა ვერ ჩამოვთვალოთ, მაგრამ გუნდი იგებს და ვიღაცას სხვა დროს უფრო მეტ წუთს, სიტყვას დავუთმობთ. როგორც ხდება ხოლმე. „მგზავრები“ იგებენ. და თან ისვენებენ. ლოგიკურია. „მგზავრებმა“ სამივე თამაში მშვიდად მოკლეს და მეოთხე ტესტისთვის ემზადებიან. ძალიან საინტერესო იქნება ამ გუნდისა და „თბილისის“ გასაუბრებაც.

ბოლო ტურში „მგზავრები“ „თელავის აკადემიას“ შეხვდნენ. საუბარი უინტერესო, ლოგიკური, ჩვეულებრივი იყო. სუპერლიგის დონეზე „მგზავრებს“ ერთი ერთთვიანი შეკრება უნდათ და გუნდი ფორმაში შევა. სამოყვარულო ლიგის ფონზე „მგზავრები“ ვერ იღლებიან და იმ დონეზე „მგზავრები“ „მაიამია“. ან თითქმის „მაიამი“. უბრალოდ, ვინმე უნდა ჩამოყალიბდეს, რომ იქნება ლებრონ ჯეიმსი. ან დუეინ უეიდი. ან ვინმე სხვა. „მგზავრებმა“ „თელავთან“ სპარინგი 69:43 დაასრულეს და 30 ქულაზე მეტით მოგება არ გამოვიდა. არც იყო საჭირო. თამაში ისე დამთავრდა, როგორც ორივე გუნდს მოეწონა. „თელავმა“ არ წააგო 30 ქულაზე მეტი. „მგზავრებმა“ დაისვენეს და გიორგი მარკოიშვილი არ თამაშობდა. ტრავმა. შიო ხეცურიანიც ვერ თამაშობდა. ტრავმა. „მგზავრებმა“ 13 სამიანიდან მხოლოდ 3 გამოიყენეს. მაინც მაგრად მოიგეს. ირაკლი ჯაფარიძემ არასრულ 13 წუთში სრული 13 ქულა დაირტყა. მოხსნის გარეშე. ცენტრი მოხსნის გარეშე ამთავრებს თამაშს და სამოყვარულო დონეზე ეს ჩვეულებრივი ამბავია. ჯაფარიძე იგებს და ჯაფარიძე ამ ტურნირზე ძმაკაცის - რამაზ გოგობერიშვილის გარეშე აკეთებს საქმეს. რამაზი რუსთავში გუნდს ავარჯიშებს და მოყვარულებს მერე მიხედავს. თუ დროში ჩაეტევა. მანამდე „მგზავრები“ ბევრს მოიგებენ. თუ არ დაეზარებათ. ტურნირი საინტერესოდ დაიწყო და უფრო საინტერესოდ გაგრძელდება. ალბათ, ჩაფიქრებულიც ასე იყო. სამოყვარულო ლიგის საუკეთესო მოთამაშეზე საუბარი ჯერ ადრეა. ბოლო ტურის მატჩების სირთულიდან და პრინციპულობიდან გამომდინარე, საუკეთესო მაისურაძე ან ახალკაცი უნდა იყოს. ორივემ მაგრად შეუბერა „თბილისთან“. და გუნდმა მოიგო.

გუნდები უკეთ შედიან ტურნირში, ხედავენ სხვების კოზირებს, იმახსოვრებენ ნიუანსებს, ამ ნიუანსებით მეტის გაკეთებას გეგმავენ. სამი-ოთხი თამაშის შემდეგ გუნდებმა ნორმალური დატვირთვა მიიღეს. ბებრები ნელ, უემოციო კალათბურთს აცოცხლებენ და მეტის გაკეთებას ცდილობენ. ცოტა ახალგაზრდები ცოტა უკეთ არიან მომზადებული და ცოტა ახალგაზრდებმა ნაკლები შეცდომა უნდა დაუშვან. ვერც ერთი მოყვარული ვერ აუხსნის ვატო ნაცვლიშვილს, როგორ უნდა ამოვიდეს ბლოკიდან, როგორ უნდა დააზღვიოს თანაგუნდელი, როგორ უნდა მიიღოს ბურთი მაქსიმალურად კარგ სასროლ სიტუაციაში. ვატომ ეს იცის და ეს თითქმის ყველა ყოფილმა „პროფიმ“ დაიმახსოვრა. და ყველა ვერ იგებს.

მომგები მერე უფრო მოიგებს.

„მგზავრებმა“ ტურნირი სამი მოგებით გახსნეს და ეს ჯერ დასაწყისია. შემდეგ ტესტებში მეტი თავისუფლება წამოვა.

წყალბურთის ზეიმი ქუთაისში

1-2 დეკემბერს ქუთაისში ჩატარდა შეჯიბრება ქალაქის თასზე ახალგაზრდებს შორის, რომელშიც გამარჯვებისთვის იბრძოდნენ ქუთაისის, თბილისის, რუსთავის, საჩხერისა და ბათუმის გუნდები.

ტურნირი ასეთი წარმომადგენლობითი არასოდეს ყოფილა, რაც ალბათ ახალგაზრდების საწყლოსნო სპორტისადმი გაზრდილ ინტერესზე მიუთითებს. მაყურებელს ვერ იტევდა ქუთაისის «ლაგუნას“ დარბაზი.

გადამწყვეტ ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ თბილისისა და ქუთაისის ახალგაზრდული გუნდები და გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ.

შეჯიბრებას ესწრებოდნენ საქართველოს ნაკრები გუნდის მწვრთნელები, ცნობილი წყალბურთელები. გამარჯვებულები დააჯილდოვა ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა შოთა მურღულიამ, რომელმაც თქვა, რომ მომავალში ტურნირს საერთაშორისო სტატუსი მინიჭება.

geonoc.org.ge

კრივის ფედერაციამ აღმასკომის სხდომა გამართა

კრივის ეროვნულმა ფედერაციამ სამინისტროში წლის შემაჯამებელი საანგარიშიო ყრილობა გამართა. კრივის ფედერაციის აღმასკომის წევრებმა განვლილი ნელი შეაჯამეს და სამომავლო გეგმები დასახეს. აღმასკომის სხდომას სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე თამაზ თევზაძე და სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი დოლაბერიძე დაესწრნენ.

მოკრივეებმა წლეულს ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჭაბუკთა ევროპის პირველობაზე კი 1 ოქროს, 1 ვერცხლის და 2 ბრინჯაოს მედალი ჰქონდათ. გუნდურ ჩათვლაში მესამე ადგილი დაიკავეს. კრივის ეროვნული და ასაკობრივი ნაკრების წევრები სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით გამოვიდნენ და სამივე სინჯის რამდენიმე მედალი მოიპოვეს.

მესი დარბაზში ვარჯიშობს

კატალონიური „ბარსელონას“ არგენტინელი ლიდერი ლიონელ მესი დაშავებულ ფეხს სამშობლოში იშუშებს.

ვარსკვლავმა მარცხენა ბარძაყი „ბეტისთან“ მატჩში იტკინა, რამაც ის მოედანს ორი თვით ჩამოაშორა.

ესპანური Marca-ს ცნობით, მესის გამოჯანმრთელების პროცესი წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ორი დღის წინ კი პირველად ივარჯიშა დარბაზში. ახლა მთავარი ამოცანა დაზიანებული კუნთების გამაგრებაა.

კონკურსი საკანალიზაციო და წყალსადენის ქსელების სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოებზე
3.12.13 ? 025-BID-MTK-13

1. ზოგადი

შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" (GWP) ატარებს კონკურსს წნევის რეგულატორების სამონტაჟო სამუშაოების შესყიდვაზე ქ. თბილისში და იწვევს კვალიფიციურ სამშენებლო კომპანიებს მონაწილეობის მისაღებად.

კონკურსი გამოკითხვა ტარდება 1 (ერთი) ლოტად, რომლებიც გადანაწილებულია შემდეგნაირად:

1. ლოტი 1 - isani-samgoris raioni, **sxvadasxva misamarTze 30 wnevis regulatoris montaJi**

კონკურსის მიზანია შეირჩეს რამოდენიმე კონტრაქტორი, რომლებიც უზრუნველყოფენ სამუშაოების შესრულებას კომპანიის მოთხოვნების გათვალისწინებით.

წინადადებების წარმოდგენის ვადა: **6 dekemberi 2013, 17:30**

სამუშაოების დასრულების სასურველი ვადა - 31 dekemberi 2013

წინადადებების წარმოდგენის ფორმა: ბეჭდური და ელექტრონული CD დისკზე (თითო ეგზემპლარი).

1.1 კონკურსის ნომერი: ? 025-BID-MTK-13

1.2 კონტრაქტის ტიპი

კონტრაქტი იქნება სრულ, ფიქსირებულ თანხაზე, ანაზღაურება კი მოხდება ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიხედვით.

2. საკონტაქტო ინფორმაცია

2.1 შესყიდვების წარმომადგენელი

სანდრო სულთანიშვილი

ტელ: +995 32 2 93 11 11 (1147)

ელ.ფოსტა: ssultanishvili@georgianwater.com

შესყიდვების წარმომადგენელი განახორციელებს კონკურსის მიმდინარეობის ზედამხედველობასა და შემდგომი პროცესის ადმინისტრირებას.

3. მოთხოვნები მონაწილეთა მიმართ

3.1 წინადადების წარდგენის მომენტისათვის მონაწილე არ უნდა იყოს:

- გაკოტრების პროცესში;
- ლიკვიდაციის პროცესში;
- საქმიანობის დროებითი შეჩერების მდგომარეობაში.

3.2 ფასების წარმოდგენა უნდა მოხდეს ლარებში დღგ-ს ჩათვლით. ფასებში გათვალისწინებული უნდა იყოს სამუშაოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი და მოგება. წარმოდგენილი წინადადება ძალაში უნდა იყოს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.3 შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" არ მიიღებს არავითარ ზეპირ შეკითხვას დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ასევე დაუშვებელია შეკითხვების დასმა ტელეფონით. ნებისმიერი შეკითხვა უნდა იყოს წერილობითი/ელექტრონული. შეკითხვის ავტორმა კომპანიის დასახელებასთან, თავის სახელთან და თანამდებობასთან ერთად აუცილებლად უნდა მიუთითოს კონკურსის ნომერი. ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, მოპოვებული სხვა გზით არ იქნება ოფიციალური და არ წარმოშობს არავითარ ვალდებულებას შპს ჯორჯიან უეთერ ენდ ფაუერის მხრიდან.

3.4 განმარტებებზე პასუხი ყველა მონაწილეს გაეგზავნება ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ასე რომ ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს მოქმედი ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელიც შემოწმდება რეგულარად.

4 საგარანტიო პერიოდი

შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა განისაზღვრება სამუშაოების დასრულებიდან 2 (ორი) წლის ვადით.

5 ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, მხარეების მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის ვადაში. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო უნდა იყოს სრული სამუშაო მოცულობის საშუალოდ 20 (ოცი) პროცენტი.

5.2 შესაძლებელია ავანსის მიღება არაუმეტეს ხელშეკრულების ღირებულების 20%ის ოდენობით, საბანკო გარანტიის საფუძველზე, რომელიც დაიქვითება შესრულებული სამუშაოების პროპორციულად.

6 შესასრულებელი სამუშაო მოცულობა

6.1 შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" ახორციელებს პროგრამებს , რომელთა ფარგლებშიც შესასრულებელია წნევის რეგულატორების სამონტაჟო სამუშაოები ქ. თბილისის მასშტაბით და ამ მიზნისათვის კომპანია გეგმავს რამოდენიმე კვალიფიციური კონტრაქტორის შერჩევას.

6.2 სამუშაოების მიზნებისათვის, კომპანია კონტრაქტორს უზრუნველყოფს დანართი 1-ში ჩამოთვლილი მასალებით, სხვა დანარჩენი მასალის უზრუნველყოფა იქნება კონტრაქტორის ვალდებულება, Aასევე დაზიანებული გრუნტის საფარის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანაც.

6.3 წარმოდგენილი პროექტი და მოცულობები ატარებს საორიენტაციო ხასიათს და მონაწილეს შეუძლია მათი იმგვარი ცვლილება, რომელიც არ ეწინააღმდეგება არსებული მიზნის ხარისხიანად, დროულად და ეკონომიურად (გონივრულ ფარგლებში) შესრულების პირობას. საჭიროა მონაწილემ ადგილზე შეისწავლოს პროექტი/პროექტები და არსებული სიტუაცია, რათა თავიდან იქნას აცილებული ნებისმიერი სახის გაუგებრობა კონტრაქტის მიმდინარეობის.

7 ნებართვები

კონტრაქტორი თვითონ უზრუნველყოფს ყველა იმ ნებართვის მოპოვებას, რომელიც საჭიროა სამუშაოების შესრულების მიზნებისათვის, ამასთან ამ პროგრამით მოთხოვნილია ნებართვების მიღება **დაჩქარებული წესით!**

8 წარმოსადგენი დოკუმენტაცია

- შერჩეული ლოტის დასახელება და ქუჩების ჩამონათვალი;
- ხარჯთაღრიცხვა;

წინადადებების წარმოდგენისას, გთხოვთ გაითვალისწინოთ რომ უცვლელად უნდა იქნას დატოვებული კომპანიის მიერ მოწოდებული სამუშოების ჩამონათვალი და ნუმერაცია (იგი არ უნდა დაიყოს, გაერთიანდეს და ა.შ.), ასევე დაუშვებელია ჩამონათვალში მითითებული განზომილებების ცვლილება (მ2 /მ3, კმ/მ, ტონაჟი და ა.შ). მოცულობების ცვლილება დასაშვებია თქვენი შეხედულებისამებრ (იხ. 6.3 პუნქტი).

- სქემატური ნახაზი, იმ შემთხვევაში თუ მეთოდი განსხვავდება ჩვენს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციაში აღწერილი მეთოდისგან;
- სამუშაოების შესრულების ვადები თითოეული შერჩეული ქუჩისათვის (მხოლოდ სამშენებლო სამუშაოების ვადა, ნებართვების პერიოდის არ-გათვალისწინებით;
- ანგარიშსწორების პირობები, მოთხოვნილი ავანსის ოდენობა.

ახალი კონტრაქტორებისათვის:

- მსგავსი სამუშაოების ჩამონათვალი, შესრულებული უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში;
- მანქანა-მექანიზმების ჩამონათვალი (აუცილებელია მითითებული იყო საკუთრებაშია თუ არა კონკრეტული მექანიზმი).

9 ხელშეკრულების გაფორმება

გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდება ხელშეკრულება წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

ხელშეკრულება შესაძლებელია გაფორმდეს როგორც ერთ ან რამოდენიმე ლოტზე წარმოდგენილი წინადადების შესაბამისად, ასევე ერთ ან რამოდენიმე ქუჩაზე.

გავეცანი:

მონაწილე კომპანიის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა

იაია ტურე აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელია

ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციამ (BBC) თავის გვერდზე გამოაქვეყნა გულშემატკივრებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგი: „მანჩესტერ სიტის“ კოტდივუარელი ნახევარმცველი იაია ტურე აფრიკის 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა.

აქამდე ტურე BBC-ის ნომინაციაზე ხუთჯერ იყო წარდგენილი, მაგრამ საუკეთესოდ არასდროს დაუსახელებიათ.

იაია ტურეს აფრიკის 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელის წოდებაში ეცილებონენ ნიგერიელი ჯონ ობი მიკელი („ჩელსი“), ვიქტორ მოზესი („ლივერპული“), ბურკინა-ფასოელი ჯონათან პიტრიუპა („რენი“) და პიერ-ემერიკ ობამეიანგი („დორტმუნდი“).

„ასეთი აღიარება ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან გამოკითხვა არა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტებს ან მწვრთნელებს, არამედ ფეხბურთის მოყვარულებს შორის ჩატარდა. როდესაც „მანჩესტერ სიტისთან“ ხელშეკრულება გავაფორმე, ვთქვი, ბევრი ჯილდოს მოგება მინდა-მეთქი. ეს ერთ-ერთი იმათგანია“, - დაჯილდოების ცერემონიალზე თქვა იაია ტურემ.

2013 წელს ტურემ ინგლისის პრემიერლიგაში 25 მატჩი ჩაატარა და 7 გოლი გაიტანა. ის ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე გასვლაშიც დაეხმარა.

Autosport და ფორმულა 1-ის საუკეთესოები

ლონდონში ჟურნალმა Autosport-მა სამეფო რბოლათა სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესოები გამოავლინა და დაჯილდოვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, წლის საუკეთესო მრბოლი (ზედიზედ მეოთხედ) გახდა ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ოთხგზის ჩემპიონი, „რედ ბულის“ გერმანელი პილოტი სებასტიან ფეტელი.

წლის საუკეთესო ახალბედად აღიარეს „მარუსიას“ წევრი ჟიულ ბიანკი, რომელმაც 2013 წლის ყველა რბოლაში ფინიშის ხაზი გადაკვეთა და გუნდს კონსტრუქტორთა თასზე მეათე ადგილის დაკავებაში დაეხმარა.

საუკეთესო ბრიტანელი მრბოლი გახდა „მერსედესის“ მესაჭე ლუის ჰემილტონი, რომლის პირველი სეზონი „მერსედესში“ ერთი რბოლის მოგებით აღინიშნა.

ზედიზედ მეოთხედ წლის ავტომობილად აღიარეს ედრიან ნიუის ქმნილება: 2013 წელს Red Bull RB9, რომლის წყალობითაც ფეტელმა 13 რბოლა მოიგო.

ავტოსპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალური ჯიდლო - გრეგორ გრანტის სახელობის პრიზი გადაეცა ლეგენდარულ ავსტრიელ მრბოლს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს ნიკი ლაუდას.

მესი - საუკეთესო, რონალდუ - სასარგებლო

პირველი გვერდიდან

პორტუგალიელმა თავდამსხმელმა განვლილ სეზონში 34 ბურთი გაიტანა, 10 საგოლე გადაცემა მიითვალა და მადრიდის „რეალის“ რიგებში პრიმერას ვერცხლის პრიზიორი გახდა. განვლილი სეზონის საუკეთესო მოთამაშის ტიტული კი ესპანეთის მოქმედი ჩემპიონის, „ბარსელონას“ არგენტინელ ლიდერს ლიონელ მესის დარჩა. მესი საუკეთესო თავდამსხმელადაც დასახელდა.

რონალდუ დაესწრო დაჯილდოების ცერემონიალს და საზოგადოებას სიტყვითაც მიმართა: „წარმატებული სეზონი მქონდა და ჯილდო ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ეს პრიზი მოტივაციას მმატებს - უკეთ ვიმუშაო. ჩემ თავს „რეალის“ მნიშვნელოვან ფიგურად ვთვლი, რომელმაც ამ კლუბთან ხუთი წლით გაახანგრძლივა ხელშეკრულება. პრიმერა მსოფლიოს საუკეთესო ლიგაა და მე პლანეტის საუკეთესო კლუბში ვთამაშობ. ასე რომ, ბედნიერი ვარ. ამ ტურნირზე გამოსვლით ბედნიერი ვარ. იმედია, გაისად საუკეთესო მოთამაშის ჯილდოსაც მივიღებ“.

დაჯილდოების ცერემონიალს არ დასწრებია ლიონელ მესი - არგენტინაშია და მისთვის განკუთვნილი ჯილდო „ბარსელონას“ პრეზიდენტ სანდრო როსელს გადაეცა.

დანარჩენ ნომინაციებში საუკეთესოებად დასახელდნენ:

საუკეთესო მეკარე - ტიბო კურტუა (ატლეტიკო)

საუკეთესო მცველი - სერხიო რამოსი (რეალი)

საუკეთესო ნახევარმცველი - ასიერ ილიარამენდი (რეალი/რეალ სოსიედადი)

საუკეთესო შემტევი ნახევარმცველი - ანდრეს ინიესტა (ბარსელონა)

წლის აღმოჩენა - ასიერ ილიარამენდი (რეალი/რეალ სოსიედადი)

წლის მწვრთნელი - დიეგო სიმეონე (ატლეტიკო)

ფეარ-პლეის ჯილდო - იკერ კასილიასი (რეალი/ ატლეტიკი)

რაკი დაჯილდოებაზე ვსაუბრობთ, ერთი კვირის წინანდელიც გავიხსენოთ.

ესპანურმა „მარკამ“, რომელიც მადრიდის „რეალის“ მხარდამჭერი გამოცემის სახელით სარგებლობს, წინა ჩემპიონატის მსგავსად, ლა ლიგის 2012/13 წლების სეზონის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილი ალფრედო დი სტეფანოს ყოველწლიური პრემია კრიშტიანუ რონალდუს გადასცა (დაჯილდოების ცერემონიალზე პორტუგალიელ ფეხბურთელს პრიზი თავად 87 წლის დი სტეფანომ გადასცა). არადა, განვლილ სეზონში ქვეყნის ჩემპიონი და საუკეთესო ბომბარდირი ლიონელ მესი გახდა (46 გოლით რონალდუს 34-ის წინააღმდეგ).

მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელმა ლეგიონერმა 32 ქულა მოაგროვა და მეორე ადგილზე გასულ ლიონელ მესის 6 ქულით გაუსწრო, მესამე საფეხური კი ანდრეს ინიესტას დარჩა (11 ქულა). ხსენებული სამეულის გარდა, რომელიც, სხვათა შორის, შარშანდელთან შედარებით არ შეცვლილა, ხმები ასევე მიიღეს ფალკაომ (3 ქულა), ვიქტორ ვალდესმა (2), ანხელ დი მარიამ (2) და დიეგო კოშტამ (1).

ასეა თუ ისე, 28 წლის პორტუგალიელმა „ტროფეო დი სტეფანო“ კარიერაში მეორედ მოიგო, მანამდე კი ზედიზედ სამი სეზონის განმავლობაში ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის პრიზს ლიონელ მესი იღებდა. სადებიუტო პირველი პრიზის მფლობელი კი რაულია (2007/08).